

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF
FREEDOM OF INFORMATION



ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

თვითმმართველი ერთეულების
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი
ორგანოების მონაწილეობა ღია მმართველობის
პარტნიორობაში (OGP)

კვლევაზე მუშაობდნენ: დავით მაისურაძე; თამარ ნადიბაიძე.

თებერვალი, 2016 წ.



მოკლე შეჯამება

კვლევის ფარგლებში განხილულ იქნა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP)¹ წევრი სახელმწიფოების სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ვალდებულებები თვითმმართველი ერთეულების აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებთან მიმართებაში. კვლევის მეორე თავი განიხილავს “ღია მმართველობის გზამკვლევი”² ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებულ საკითხებს. კვლევის დასასრულს წარმოდგენილია თვითმმართველი ქალაქების ორგანოების განსაკუთრებით წარმატებული საქმიანობის მაგალითები.

სხვა მნიშვნელოვან თემებთან ერთად, კვლევიდან გამოვლინდა ხუთი ძირითადი საკითხი, კერძოდ:

(1) ღია მმართველობის პარტნიორობის წევრ სახელმწიფოთა დაახლოებით ერთი მესამედი სხვადასხვა ფორმით ითვალისწინებს ტერიტორიული ერთეულების ორგანოების მონაწილეობას ღია მმართველობის პრინციპების დანერგვასა და განხორციელებაში. ამ თვალსაზრისით OGP-ის გამორჩეული წევრებია საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ფინეთი, ნორვეგია, დანია, ურუგვაი, კოლუმბია და ფილიპინები;

(2) დასახელებული სახელმწიფოების სამოქმედო გეგმები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ ტერიტორიული ერთეულების ორგანოების მონაწილეობას ისეთი ვალდებულებების განხორციელებაში როგორცაა მოქალაქეთა ჩართულობით ადგილობრივი ბიუჯეტის განსაზღვრა და ფულადი სახსრების პრიორიტეტული სფეროების მიხედვით განაწილება (მონაწილეობითი ბიუჯეტირება); ინფორმაციის ღიაობა - განსაკუთრებით ადგილობრივი ბიუჯეტით ორგანიზაციების დაფინანსებასა და ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლობითი ორგანოების შეხვედრების დღის წესრიგთან და ჩატარებული სხდომების ოქმებთან დაკავშირებით; ტერიტორიული ერთეულების საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერება და ამ მიზნით დაინტერესებული პირებისთვის და ტერიტორიული ერთეულების ორგანოების თანამშრომლებისთვის ტრენინგების ჩატარება;

(3) კვლევამ დაადასტურა, რომ OGP-ის წევრი სახელმწიფოები ადგილობრივი დონეზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვას, რისი მეშვეობითაც ხდება ტერიტორიულ ერთეულებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა.

(4) კვლევისას გამოიკვეთა არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ტერიტორიულ ერთეულებში ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მიერ ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობასთან დაკავშირებით.

(5) კვლევიდან, ასევე, იკვეთება, რომ OGP და წევრი სახელმწიფოები დაინტერესებულები არიან თვითმმართველი ორგანოების მზარდი როლით და აქტიური ჩართულობით ღია მმართველობის პარტნიორობაში.

¹ Open Government Partnership, <http://www.opengovpartnership.org/>.

² ღია მმართველობის გზამკვლევი, <http://www.opengovguide.com/local-government/>.



შესავალი	5
1. ღია მმართველობის პარტნიორობის წევრი ქვეყნების მიერ აღებული ვალდებულებები თვითმმართველი ერთეულების ჩართულობის თვალსაზრისით.....	8
1.1. ალბანეთი.....	8
1.2. ამერიკის შეერთებული შტატები.....	8
1.2.1. ამერიკის შეერთებული შტატების მეორე სამოქმედო გეგმა.....	8
1.2.2. ამერიკის შეერთებული შტატების მესამე სამოქმედო გეგმა	9
1.3. არგენტინა	10
1.4. ბრაზილია	11
1.5. გვატემალა.....	13
1.6. დანია.....	13
1.7. დომინიკის რესპუბლიკა.....	15
1.8. ესტონეთი.....	16
1.9. ირლანდია.....	16
1.10. იტალია.....	17
1.11. კოლუმბია	18
1.12. მაკედონია	20
1.12.1. მაკედონიის პირველი სამოქმედო გეგმა	20
1.12.2. მაკედონიის მეორე სამოქმედო გეგმა.....	20
1.13. ნორვეგია	21
1.14. საფრანგეთი	22
1.15. სერბეთი	26
1.16. სომხეთი	27
1.16.1. სომხეთის პირველი სამოქმედო გეგმა	27
1.16.2. სომხეთის მეორე სამოქმედო გეგმა.....	28
1.17. უნგრეთი	29
1.18. ურუგვაი.....	30
1.19. ფილიპინები	32
1.20. ფინეთი	33
1.20.1. ფინეთის პირველი სამოქმედო გეგმა.....	34



1.20.2. ფინეთის მეორე სამოქმედო გეგმა	35
1.21. ხორვატია	37
1.21.1. ხორვატიის პირველი სამოქმედო გეგმა	37
1.21.2. ხორვატიის მეორე სამოქმედო გეგმა.....	38
2. ღია მმართველობის გზამკვლევი ღია მმართველობის პარტნიორობაში ადგილობრივი თვითმმართველობის მონაწილეობის შესახებ	38
3. მუნიციპალიტეტების ორგანოების ღიაობის წარმატებული მაგალითები.....	41
3.1. ამსტერდამი	41
3.2. ახალი ორლეანი	42
3.3. მეხიკო.....	43
3.4. ნიუ იორკი	44
3.5. პორტო ალეგრე	45
3.6. ჩიკაგო	47
4. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) რეკომენდაციები ღია მმართველობის პარტნიორობაში თვითმმართველი ერთეულების ჩართვასთან დაკავშირებით	48



შესავალი

ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) არის აშშ-ს პრეზიდენტის ბარაკ ობამას ინიციატივით 2011 წელს დაარსებული საერთაშორისო ინიციატივა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მთავრობების საქმიანობის გამჭვირვალობის პროცესს, გააძლიეროს სახელისუფლებო შტოების ანგარიშვალდებულება და მხარი დაუჭიროს მოქალაქეების ინფორმირებულობის ზრდას და მათ ჩართულობას მთავრობის საქმიანობაში. OGP-ის წევრი სახელმწიფოების სამოქმედო გეგმები უნდა პასუხობდეს შემდეგ ძირითად გამოწვევებს: საჯარო მომსახურების გაუმჯობესება, საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა, საჯარო რესურსების უკეთესი მართვა, უსაფრთხო გარემოს შექმნა და კორპორაციული ანგარიშვალდებულების გაზრდა.

საქართველო 2011 წელს შეუერთდა ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივას. ამ დროისთვის საქართველოს მთავრობას შემუშავებული აქვს მეორე სამოქმედო გეგმა.³ სამოქმედო გეგმები შემუშავდა ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მეშვეობით, რომლის შემადგენლობაში შედიან სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.⁴ ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი აღიარებულია როგორც OGP-ის სამოქმედო გეგმების შემუშავების ერთერთი საუკეთესო მექანიზმი.⁵

თავდაპირველად OGP მიზნად ისახავდა მხოლოდ სახელმწიფოების მთავრობების ჩართვას ღია მმართველობის პარტნიორობაში, თუმცა შემდეგ გამოიკვეთა სხვა სახელისუფლებო შტოების ჩართვის აუცილებლობა და მნიშვნელობა. მაგალითად, ერთერთი ახალი მიმართულება არის საკანონმდებლო ღიაობა და პარლამენტების ჩართულობა ღია მმართველობის პარტნიორობაში.

აღსანიშნავია, რომ საქართველო მიეკუთვნება ღია მმართველობის პარტნიორობის წევრი ქვეყნების იმ მცირე ჩამონათვალს, რომლებმაც შეიმუშავეს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმები.⁶ ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა⁷ აღიარებულია როგორც ერთერთი საუკეთესო საპარლამენტო ღიაობის სამოქმედო გეგმა, ხოლო საქართველოს პარლამენტის ინტერფრაქციულმა ჯგუფმა, რომელმაც სამოქალაქო

³ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/379>.

⁴ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/348>.

⁵ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), *ღია მმართველობის პარტნიორობის გლობალური სამიტი მეხიკოში*, <https://idfi.ge/ge/ogp-global-summit-2015-in-mexico>.

⁶ საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა (2015-2016) შემუშავდა ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ინიციატივაში საქართველოს პარლამენტის ჩართულობის მხარდაჭერა“ ფარგლებში, რომელიც განახორციელა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI). გთხოვთ, იხილოთ ბმული <https://idfi.ge/ge/supporting-parliament-of-georgia-involvement-in-ogp>.

⁷ საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა (2015-2016) https://idfi.ge/public/upload/IDFI/Parlament_Action_Plan_GEO.pdf.



საზოგადოების სამუშაო ჯგუფთან ერთად შეიმუშავა დასახელებული სამოქმედო გეგმა, მოიპოვა ღია მმართველობის პარტნიორობის ჯილდო.⁸

განვითარების შემდგომ პერიოდში, OGP-ში გამოიკვეთა სხვა ახალი მიმართულებებიც, რომელთა შორის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია თვითმმართველი ერთეულების მონაწილეობა ღია მმართველობის პარტნიორობაში.⁹ კერძოდ, OGP, ღია მმართველობის პარტნიორობის პრინციპების მოქალაქეებამდე სრულყოფილად დაყვანის მიზნით, აუცილებლად მიიჩნევს ადგილობრივ დონეზე სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელებას. მხოლოდ თვითმმართველობების აქტიური ჩართულობით არის შესაძლებელი, რომ OGP-ის მიერ დასახული მიზნები განხორციელდეს და ამალდეს მოქალაქეთა ინფორმირებულობის დონე.¹⁰

მიუხედავად იმისა, რომ ღია მმართველობის პარტნიორობისთვის თვითმმართველობების ჩართულობა ახალია, საკუთრივ OGP-ის წევრ ქვეყნებს უკვე ჰქონდათ აღებული ვალდებულებები, მაგალითად, თვითმმართველი ერთეულებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ფინანსური რესურსების გამჭვირვალობის და მონაწილეობითი ბიუჯეტირების შესახებ, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დონეზე უსაფრთხო გარემოს შექმნისა და თვითმმართველი ერთეულის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ. წინამდებარე კვლევიდან ჩანს, რომ ღია მმართველობის პარტნიორობის წევრი ქვეყნების ტერიტორიული ერთეულების ორგანოებს აქვთ დაგროვილი ისეთი საქმიანობის განხორციელების გამოცდილება, რომელიც შესაბამისობაშია ღია მმართველობის პარტნიორობის პრინციპებთან და OGP-ის გამოწვევების განხორციელებას ისახავს მიზნად.

იმისათვის, რომ გააქტიუროს თვითმმართველობების ჩართულობა ღია მმართველობის პარტნიორობაში და შესაძლებლობა მისცეს მათ გაუზიარონ ერთმანეთს საუკეთესო გამოცდილება გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეთა ინფორმირებულობის თვალსაზრისით, ღია მმართველობის პარტნიორობამ გამოაცხადა კონკურსი.¹¹ აღნიშნული კონკურსში ჩართვა შეუძლია OGP-ის წევრი სახელმწიფოების იმ ტერიტორიულ ერთეულებს, რომლის მოსახლეობა შეადგენს მინიმუმ 250000 (ორას ორმოცდაათი ათასი) მაცხოვრებელს.¹²

⁸ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), *საქართველოს პარლამენტის ინტერფრაქციულმა ჯგუფმა ღია მმართველობის პარტნიორობის ჩემპიონთა ჯილდო მოიპოვა*, <https://idfi.ge/ge/ogp-global-summit-2015-in-mexico>.

⁹ *Subnational Government Pilot Program*, <http://www.opengovpartnership.org/how-it-works/subnational-government-pilot-program#3>.

¹⁰ იქვე.

¹¹ იქვე.

¹² K. von Bertele, *Calling All Subnational Performers*, Open Government Partnership Blog, <http://www.opengovpartnership.org/blog/kitty-von-bertele/2015/12/15/calling-all-subnational-reformers>, მოდიებული იქნა 2016 5 იანვარი.



წინამდებარე დოკუმენტის მიზანია შეისწავლოს OGP-ის წევრი სახელმწიფოების მიერ ტერიტორიულ ერთეულებთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებები, გაანალიზოს თვითმმართველი ერთეულების საუკეთესო პრაქტიკა და OGP-ის პოლიტიკა ღია მმართველობის პარტნიორობაში თვითმმართველი ერთეულების ჩართულობის თვალსაზრისით.

დოკუმენტის შექმნის პროცესში ძირითადად გამოყენებულ იქნა ღია მმართველობის პარტნიორობის წევრი ქვეყნების სამოქმედო გეგმები,¹³ „ღია მმართველობის გზამკვლევი“,¹⁴ OGP-ის ოფიციალური ვებ-გვერდი და მასთან დაკავშირებული ინტერნეტ-წყაროები.

¹³ <http://www.opengovpartnership.org/countries>.

¹⁴ ღია მმართველობის გზამკვლევი, <http://www.opengovguide.com/about-this-guide/>.



1. ღია მმართველობის პარტნიორობის წევრი ქვეყნების მიერ აღებული ვალდებულებები თვითმმართველი ერთეულების ჩართულობის თვალსაზრისით

1.1. ალბანეთი

ალბანეთის ღია მმართველობის პარტნიორობის 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმა, ითვალისწინებს მუნიციპალიტეტების ჩართულობის გაზრდას OGP-ში ღია მმართველობის პრინციპების პოპულარიზაციის ხელშეწყობის გზით.¹⁵

კერძოდ, ალბანეთის სამოქმედო გეგმის 1.4. ვალდებულების თანახმად, ალბანეთის ინოვაციისა და საჯარო ადმინისტრირების სახელმწიფო მინისტრი, ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხების მინისტრთან და ღია მმართველობის პარტნიორობის საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების კოალიციასთან ერთად, იღებენ ვალდებულებას, რომ ხელი შეუწყონ OGP-ის ღირებულებების დანერგვას ადგილობრივ თვითმმართველობებში. ვალდებულების ინიცირება მოახდინა სამოქალაქო საზოგადოებამ. ვალდებულების მიზანია გააძლიეროს მოქალაქეების ჩართულობა და ღია მმართველობა ადგილობრივ დონეზე.¹⁶

1.2. ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) მეორე და მესამე სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს თვითმმართველი ერთეულების საქმიანობაში მოქალაქეების აქტიური ჩართულობის ხელშეწყობ ვალდებულებებს.

1.2.1. ამერიკის შეერთებული შტატების მეორე სამოქმედო გეგმა

აშშ-ს მეორე სამოქმედო გეგმის მეშვიდე ვალდებულების მიზანია ხელი შეუწყოს მოქალაქეების მონაწილეობას ადგილობრივი ბიუჯეტის განკარგვაში. ვალდებულება ხაზს უსვამს მოქალაქეების მონაწილეობის მნიშვნელობას პრიორიტეტული საკითხების

¹⁵ The Open Government Partnership Second Open Government National Action Plan for Albania 2014-2016, <http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/PLAN%20VEPRIMI%20OGP%20eng%20june%2015.pdf>

¹⁶ იქვე, გვ. 6.



გამოვლენაში. მონაწილეობითი ბიუჯეტირების მაგალითად მოყვანილია ჩიკაგოს, ნიუ იორკის და სან ფრანცისკოს მუნიციპალიტეტები.¹⁷

1.2.2. ამერიკის შეერთებული შტატების მესამე სამოქმედო გეგმა

განსხვავებით მეორე სამოქმედო გეგმისგან აშშ-ს მესამე სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ოთხი ვალდებულებისგან შემდგარ თავს, რომელიც ადგილობრივ დონეზე ღია მმართველობის მხარდაჭერას ისახავს მიზნად.¹⁸

აღნიშნული თავის პირველი ვალდებულება ხაზს უსვამს მონაცემების ღიაობის, მათ შორის ფედერალურ დონეზე არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას, მუნიციპალიტეტების ორგანოებში მოქალაქეებისათვის სერვისის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით. მონაცემების ღიაობის ხელშეწყობის მაგალითად მოყვანილია თეთრი სახლის ადმინისტრაციის მიერ 2015 წელს გამოქვეყნებული ონლაინ რუკა, რომელიც ეხმარება მოქალაქეებს, მკვლევარებს, ჟურნალისტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს გაეცნონ მათ მუნიციპალიტეტებში მიმდინარე პროექტებს. ადმინისტრაცია მომავალშიც გეგმავს უზრუნველყოს რუკაზე არსებული ინფორმაციის მუდმივი განახლება.

მეორე ვალდებულება ხაზს უსვამს მუნიციპალიტეტების მონაცემთა ქსელის შექმნის აუცილებლობას. ამ ქსელის მიზანი იქნება ინფორმაციის დამუშავება და თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება მონაცემების გაცვლის თვალსაზრისით.

მესამე ვალდებულება საუბრობს მონაცემთა სისტემების გაუმჯობესებაზე. კერძოდ, ვალდებულებაში საუბარია მუნიციპალიტეტებში არსებული ისეთი მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე როგორიცაა დანაშაულის სტატისტიკა, ტრანსპორტირების საკითხები, საკვები პროდუქტების ხელმისაწვდომობა. იმისათვის, რომ შესაბამისმა ორგანოებმა უფრო მჭიდროდ იმუშაონ მოქალაქეებთან და გამოიყენონ დასახელებული ინფორმაცია ფედერალურ მონაცემებთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ ხელი შეეწყოს ინოვაციური ელექტრონული პროგრამების შექმნას და განვითარებას.

მეოთხე ვალდებულების მიზანია გააუმჯობესოს ციფრული მონაცემების გათვალისწინებით სერვისების მიწოდების სფერო. ვალდებულება მიმართულია მუნიციპალიტეტების ორგანოების ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაძლიერებისკენ.

¹⁷ The Open Government Partnership Second Open Government National Action Plan For the United States of America, <http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/US%20National%20Action%20Plan.pdf>, გვ. 10.

¹⁸ The Open Government Partnership Third Open Government National Action Plan For the United States of America, http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/final_us_open_government_national_action_plan_3_0.pdf, გვ. 17-18.



აშშ-ს მესამე სამოქმედო გეგმის ფისკალური გამჭვირვალობის საკითხის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად გათვალისწინებულია - მონაწილეობითი ბიუჯეტირება. ვალდებულებაში აღნიშნულია, რომ აშშ-ს მთავრობა ითანამშრომლებს თვითმმართველობებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა პარტნიორებთან ფისკალური გამჭვირვალობის სფეროში ახალი ვალდებულებების აღების მიზნით, რაც დახვეწს ბიუჯეტის დაგეგმვისა და განკარგვისას მოქალაქეების მონაწილეობას.¹⁹

1.3. არგენტინა

არგენტინის პირველ სამოქმედო გეგმაში ხაზი არის გასმული არგენტინის მთავრობის უკვე განხორციელებულ პროექტებზე ადგილობრივი თვითმმართველ ერთეულებთან დაკავშირებით.²⁰

კერძოდ, არგენტინის მთავრობის მიერ, თვითმმართველი ერთეულების მენეჯმენტის გაუმჯობესების მიზნით, შექმნილია მუნიციპალიტეტების პორტალი <http://www.gobiernolocal.gob.ar>. აღნიშნული პორტალის მიზანია ხელი შეუწყოს სახელმწიფოში არსებულ ორი ათასზე მეტ მუნიციპალიტეტს შორის ინფორმაციის გაცვლას, განახლებული ინფორმაციის განთავსებას ტრენინგების, სტატისტიკის და დასაქმებულებისათვის საინტერესო სხვადასხვა საკითხის შესწავლის შესახებ, რაც შესაძლებლობას აძლევს მუნიციპალიტეტების თანამშრომლებს აიმაღლონ პროფესიონალიზმი. ვებ-პორტალი განკუთვნილია საჯარო გამოყენებისთვისაც და მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოქალაქეების ჩართულობას მუნიციპალიტეტების საქმიანობაში.

არგენტინის პირველ სამოქმედო გეგმაში, არგენტინის მთავრობის მიერ განხორციელებულ ერთერთ ღონისძიებად აღნიშნულია სამოქალაქო ჩართულობის ცენტრების შექმნა (Community Integration Centres (CIC)).²¹ სამოქმედო გეგმაში სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი განხილულია, როგორც მუნიციპალიტეტებში არსებული საჯარო სივრცე და სახელმწიფო, რეგიონული და ადგილობრივი მმართველობების გამაერთიანებელი რგოლი. სამოქალაქო ჩართულობის ცენტრების მიზანია უზრუნველყოს სამოქალაქო საზოგადოების და მოქალაქეების ჩართვა თვითმმართველი ერთეულების საქმიანობაში.

სამოქალაქო ჩართულობის ცენტრების საფუძველზე შექმნილია მუნიციპალიტეტების მენეჯმენტის საბჭო, სადაც თვითმმართველი ერთეულების განვითარებით დაინტერესებული

¹⁹ The Open Government Partnership Third Open Government National Action Plan For the United States of America, http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/final_us_open_government_national_action_plan_3_0.pdf, გვ. 16

²⁰ Open Government Partnership Argentina Action Plan 2013, <http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Action%20Plan%20ARGENTINA.pdf>, გვ. 10-15.

²¹ იქვე, გვ. 11.



პირები ახორციელებენ შემდეგი სახის საქმიანობას: სოციალური და ჯანდაცვის საკითხების კოორდინაცია; მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერა; მუნიციპალიტეტების ისეთი ინსტიტუტების და ორგანიზაციების მხარდაჭერა, რომელიც ხელს უწყობენ სამოქალაქო ჩართულობის ცენტრების საქმიანობაში ფიზიკური და იურიდიული პირების ერთმანეთთან დაკავშირებას; კულტურული, სარეკრეაციო და საგანმანათლებლო აქტივობების მხარდაჭერას.

სამოქალაქო ჩართულობის ცენტრები, რომლებიც მდებარეობენ არგენტინის ყველაზე უფრო მოწყვლად რეგიონებში არიან დაფუძნებული მუნიციპალიტეტების მაცხოვრებელთა კოოპერატივების მიერ. სახელმწიფოს აღნიშნული სტრატეგია მიზნად ისახავს მმართველობის ისეთი მოდელის განვითარების მხარდაჭერას, რომელიც კოორდინაციას გაუწევს პირველადი ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების უზრუნველყოფაში, ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობას.

არგენტინის პირველი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს თვითმმართველი ერთეულების მონაწილეობას სხვადასხვა ვალდებულებების განხორციელების დროს. მაგალითად, არგენტინის პირველი სამოქმედო გეგმის ერთერთი ვალდებულებაა ღია მმართველობის გზამკვლევის შემუშავება, რომელიც უნდა შეიცავდეს ყველა სახელისუფლებო რგოლის ზოგად სტანდარტებს. აღნიშნული სტანდარტები დაკავშირებულია ხელისუფლების ღიაობის, გამჭვირვალობისა და მოქალაქეების წინაშე ანგარიშვალდებულების საკითხებთან. სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ დასახელებული გზამკვლევი უნდა შემუშავდეს როგორც სახელმწიფო, ისე რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის.²²

არგენტინის პირველი სამოქმედო გეგმის ერთერთი ვალდებულებაა ღია მმართველობის შესახებ ღონისძიების ჩატარება, სადაც მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა სახელისუფლებო შტოების წარმომადგენლები. ღონისძიებაში ასევე უნდა ჩაერთონ მუნიციპალიტეტები, რომელთა წარმომადგენლებმაც უნდა გაუზიარონ ერთმანეთს ღია მმართველობის დანერგვის და განხორციელების გამოცდილება.²³

1.4. ბრაზილია

იმისათვის, რომ გააუმჯობესოს საჯარო მომსახურება, ბრაზილიის მეორე სამოქმედო გეგმის 1.13. ვალდებულება მოუწოდებს ფედერალურ ოლქებს და მუნიციპალიტეტებს, რომ შეუერთდნენ ღია მმართველობის პარტნიორობის პრინციპებს და დანერგონ ეს პრინციპები საკუთარ საქმიანობაში.²⁴

²² Open Government Partnership Argentina Action Plan 2013, <http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Action%20Plan%20ARGENTINA.pdf>, გვ. 17-18.

²³ იქვე, გვ. 19.

²⁴ Brazil's Second OGP Action Plan, <http://www.opengovpartnership.org/country/brazil/action-plan>, გვ. 14.



ბრაზილიის სამოქმედო გეგმის 2.12. ვალდებულება ითვალისწინებს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით ღიაობის კულტურის გავრცელებას ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებშიც იმისათვის, რომ გაიზარდოს მუნიციპალიტეტების ორგანოების ინფორმირებულობის დონე.²⁵

ბრაზილიის სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ 3.3. ვალდებულების (რომლის სახელწოდებაცაა „გამჭვირვალე ბრაზილია“) განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანია სემინარების, სამუშაო შეხვედრების, ტრენინგების ჩატარება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ფედერალური ოლქებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების თანამშრომლებისათვის. ამავდროულად, ვალდებულება ხაზს უსვამს საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიის ჩატარების აუცილებლობას და გამჭვირვალობის პორტალების და მოქალაქეთა საინფორმაციო სისტემების განვითარებას (e-SIC), მათი შემდგომი დახვეწისა და გამოყენების მნიშვნელობას ადგილობრივ დონეზე.²⁶

ბრაზილიის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს პროექტს „ციფრული ქალაქები“ (ვალდებულება 3.5.). აღნიშნული პროექტის თანახმად, მნიშვნელოვანია ინტერნეტისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა მუნიციპალიტეტებში და სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციის ერთმანეთთან დაკავშირება. ვალდებულებაში აღნიშნულია, რომ პროექტი მხარს დაუჭერს მართვის ელექტრონული მეთოდების დანერგვას თვითმმართველ ერთეულებში.²⁷

ბრაზილიის სამოქმედო გეგმის მეხუთე ვალდებულებაცაა უსაფრთხო თემების შექმნის უზრუნველყოფა (Creating Safer Communities). კერძოდ, ვალდებულება მოიცავს ღონისძიებების ჩამონათვალს, რომელთა იმპლემენტაციის შემდეგ შესაძლებელია, რომ ვალდებულება განხორციელებულად ჩაითვალოს.²⁸ აღნიშნული ვალდებულების განხორციელების ერთ-ერთ საშუალებად სამოქმედო გეგმის თანახმად მიჩნეულია საკვები პროდუქტების უსაფრთხოებაზე მონიტორინგის განხორციელების მეთოდოლოგიის შემუშავება და დანერგვა იმ მიზნით, რომ მოხდეს მთავრობის ღონისძიებების და ანგარიშვალდებულების გაძლიერება. ასევე, დასახელებული ვალდებულების თანახმად, აუცილებელია ისეთი სისტემის განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს „მარია დე პენას“ კანონთან (რომელიც ასახავს ოჯახური ძალადობის საკითხებს) მიმართებაში მონაცემების შეგროვებას და შენახვას.

ბრაზილიის სამოქმედო გეგმის მეხუთე ვალდებულება უსაფრთხო თემების არსებობისთვის, ასევე, აუცილებლად მიიჩნევა აბორიგენი მოსახლეების ჩართულობას თვითმმართველი ერთეულების საქმიანობაში.

²⁵ Brazil's Second OGP Action Plan, <http://www.opengovpartnership.org/country/brazil/action-plan>, გვ. 17.

²⁶ იქვე, გვ. 20.

²⁷ იქვე, გვ. 21.

²⁸ იქვე, გვ. 23-24.



1.5. გვატემალა

საინტერესოა გვატემალას ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმა, სადაც ერთ-ერთ ვალდებულებად, რომლის განხორციელება სხვა უწყებებთან ერთად ევალებათ თვითმმართველი ერთეულების აღმასრულებელ ორგანოებს, მითითებულია სტიქიური უბედურების დროს გამოყოფილი რესურსების გამჭვირვალედ გამოყენება.²⁹

გვატემალას სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია საკონსულტაციო სისტემის მექანიზმის გაძლიერების შესახებ. საკონსულტაციო მექანიზმმა უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა, მონაცემთა შეგროვება და რუკების შექმნა თემებისთვის. რუკებზე უნდა აღინიშნოს ყველაზე უფრო მეტი და სასწრაფოდ გადასაწყვეტი პრობლემების მქონე თემები.³⁰

სამოქმედო გეგმა საუბრობს ადგილობრივი თვითმმართველობის პორტალში ცვლილებების შეტანის აუცილებლობაზე, კერძოდ, ხაზგასმულია, რომ მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის შინაარსი და სტრუქტურა უფრო სრულყოფილი ფორმატით უნდა ჩამოყალიბდეს.³¹

1.6. დანია

დანიის სამოქმედო გეგმა, რომელიც გათვლილი იყო 2013-2014 წლებზე, ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტების აქტიურ ჩართულობას სამოქმედო გეგმაში არსებული ვალდებულებების განხორციელების პროცესში.

დანიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პირველი ვალდებულება ხაზს უსვამს ადგილობრივი დემოკრატიის და მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობაში მოქალაქეების ჩართულობის მნიშვნელობას. სამოქმედო გეგმა განიხილავს მუნიციპალიტეტების ორგანოების სერვისის მიწოდების სფეროს, კერძოდ, მოქალაქეებისათვის კონსულტაციების გაწევის საკითხს. კონსულტაციების ძირითადი მიზანი არის მუნიციპალიტეტის ორგანოების გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეების ჩართულობის გაძლიერება, იმისათვის, რომ არ მოხდეს მოქალაქეთა უფლებების შემლახველი გადაწყვეტილების მიღება. ვალდებულება ითვალისწინებს მთავრობის მიერ კომიტეტის

²⁹ Second Open Government National Action Plan, Guatemala, 2014-2016,

[http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Plan de Acci3n de Gobierno Abierto Guatemala 2014-2016 %20INGLES.pdf](http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Plan%20de%20Acci3n%20de%20Gobierno%20Abierto%20Guatemala%202014-2016%20INGLES.pdf), გვ. 22.

³⁰ იქვე, გვ. 26.

³¹ იქვე, გვ. 30.



შექმნას, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს მოქალაქეების მუნიციპალიტეტის ორგანოების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის შესაძლებლობები.³²

სამოქმედო გეგმა, ასევე, განიხილავს მოქალაქეთა ხმის უფლების საკითხის მნიშვნელობას. სამოქმედო გეგმა აღნიშნავს, რომ მოქალაქის არჩევნებში მონაწილეობით ირკვევა იზიარებს თუ არა მოქალაქე არსებულ პოლიტიკურ სისტემას. სამოქმედო გეგმაში მოყვანილია კვლევის მაგალითი, როდესაც დანიის მთავრობამ ჩაატარა კვლევა მოქალაქეებში ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებით. კვლევა ჩატარდა მუნიციპალიტეტებში და მიზანი იყო გაერკვიათ მოქალაქეების მოსაზრებები თვითმმართველობაში შესაძლო ცვლილებებთან და ზოგადად მოქალაქეთა მხრიდან ახალი იდეების მოზიდვასთან დაკავშირებით.³³

სამოქმედო გეგმაში ხაზი აქვს გასმული ახალგაზრდების ჩართულობის მნიშვნელობას მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნებში; განსაკუთრებით ხაზი აქვს გასმული ისეთი ახალგაზრდების მონაწილეობას, რომლებიც პირველად იღებენ მონაწილეობას არჩევნებში. მაგალითად, ერთ-ერთ ღონისძიებად აღწერილია არჩევნებზე მოსაწვევი წერილის გაგზავნა ყველა ახალგაზრდისთვის, რომელიც პირველად იღებს არჩევნებში მონაწილეობას. წერილში ახსნილი იქნება არჩევნების და მასში მონაწილეობის მიღების მნიშვნელობა.³⁴

სამოქმედო გეგმაში განსაკუთრებულად გამოყოფილია ელექტრონულ ფორმატში კომუნიკაციის პროცესი, რაშიც სახელმწიფო ორგანოებთან და რეგიონებთან ერთად, ჩართული უნდა იყვნენ მუნიციპალიტეტის ორგანოებიც. სამოქმედო გეგმა ამ მხრივ გამოყოფს სერვისების მიწოდების პროცესს. ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დანიაში სახელმწიფო სერვისების გარკვეული ნაწილი მოქალაქეებისათვის არის თვითმომსახურებადი, შესაბამისად, სამოქმედო გეგმა გამოყოფს ელექტრონულ ფორმატში კომუნიკაციის მნიშვნელობას და ამ პროცესში მუნიციპალიტეტის ორგანოების ჩართულობას.³⁵

სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ ვალდებულებად მითითებულია ჩართულობის და თანამშრომლობის ახალი გზების ძიება. კერძოდ, აღნიშნულია, რომ სერვისების მიწოდების პროცესში აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ ბიზნესის სფეროს და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. სამოქმედო გეგმა ხაზს უსვამს სერვისების მიწოდების ახალი და ინოვაციური გზების ძიებას სახელმწიფო, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე. ასევე, სამოქმედო გეგმა ხაზს უსვამს სერვისების მიწოდების გაუმჯობესებას გაზრდილი ჩართულობისა და ინოვაციური მიდგომის საფუძველზე. აღნიშნული მიდგომის მაგალითად მოყვანილია ინიციატივა სახელწოდებით *სმარტ არჰუსი*, რომელიც მოქალაქეების,

³² Open Government National Action Plan 2013-2014,

http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Denmark_Open%20Government%20Action%20Plan%202013-2014_ENG_1-sided_print.pdf, გვ. 5.

³³ იქვე, გვ. 5-6.

³⁴ იქვე, გვ. 6-7.

³⁵ იქვე, გვ. 7-9.



საზოგადოებისა და კერძო სექტორის კომუნიკაციის პლატფორმაა. სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ *სმარტ არჰუსი* შეიქმნა არჰუსის მუნიციპალიტეტის, ცენტრალური დანიის რეგიონის, ალექსანდრას ინსტიტუტის და არჰუსის უნივერსიტეტის პარტნიორობის საფუძველზე. სამოქმედო გეგმაში მითითებულია, რომ უნდა მოხდეს 10 ინოვაციური სისტემის შექმნა, სადაც მოქალაქეები, კომპანიები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და საჯარო სექტორი ერთად იმუშავებენ დემოგრაფიულ, გარემოსდაცვით, ენერგეტიკის სფეროსა და კომპანიების კონკურენციის საკითხებზე.³⁶

სამოქმედო გეგმის დასახელებული ვალდებულების ერთ-ერთი გამოხატულება იქნება - პროექტის „თავისუფალი მუნიციპალიტეტები“ განხორციელება. სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ პროექტი არის საჯარო სექტორის მოდერნიზაციის გეგმის შემადგენელი ნაწილი. პროექტიდან მიღებული გამოცდილება დაეხმარება სახელმწიფოს საჯარო სექტორის რეფორმის განხორციელებაში, რომელიც დაყრდნობილი იქნება ნდობაზე, პროფესიონალიზმზე, ლიდერობაზე და დერეგულაციაზე. ცხრა მუნიციპალიტეტი ითვლება „თავისუფალ“ მუნიციპალიტეტად, რაც ნიშნავს, რომ ისინი თავისუფალი არიან სახელმწიფო სერვისების მიწოდების სფეროში სახელმწიფო რეგულაციებისაგან. ეს შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფოს, რომ გამოსცადოს სერვისების მიწოდების უფრო ეფექტიანი და ნაკლებად ბიუროკრატიული გზები.³⁷

1.7. დომინიკის რესპუბლიკა

დომინიკის რესპუბლიკის ღია მმართველობის პარტნიორობის მეორე სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი ვალდებულება გულისხმობს ე. წ. „ღია საკონსულტაციო სისტემის“ შექმნას. საკონსულტაციო სისტემის ერთერთი მიზანია უზრუნველყოს ბიუჯეტის შედგენა მონაწილეობის საფუძველზე, ასევე, გაზარდოს მოქალაქეების ჩართულობა საჯარო პოლიტიკის სხვა საკითხებთან დაკავშირებით.³⁸

საკონსულტაციო სისტემა მოიცავს როგორც ელექტრონული (მაგალითად, მოკლე ტექსტური შეტყობინების დაგზავნას მობილური ტელეფონების მეშვეობით) საშუალებით, ასევე, საჯარო დისკუსიებისა და კონსულტაციების ჩატარების მეშვეობით მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას. აღნიშნულმა საკონსულტაციო სისტემამ, ასევე, უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება მათ უფლებებთან და ამ უფლებების განხორციელებასთან

³⁶ Open Government National Action Plan 2013-2014,

http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Denmark_Open%20Government%20Action%20Plan%202013-2014_ENG_1-sided_print.pdf, გვ. 9-10

³⁷ იქვე, გვ. 10.

³⁸ Second Action Plan, Dominican Republic, 2014-2016,

http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/211014_ingles_2nd_DR%20Action%20Plan%20OG%20en_P.pdf, გვ. 14.



დაკავშირებით და გააძლიეროს ტერიტორიული ერთეულების მმართველების კომუნიკაცია მოქალაქეებთან.

1.8. ესტონეთი

ესტონეთის ღია მმართველობის პარტნიორობის მეორე სამოქმედო გეგმა ცალკე არ გამოყოფს მუნიციპალიტეტებისათვის გათვალისწინებულ ვალდებულებას, თუმცა სხვა ორგანოებთან ერთად, განიხილავს მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვისაც ვალდებულების დაკისრების საკითხს. კერძოდ, ეს გამოიხატება სამოქმედო გეგმის მეორე³⁹ და მეოთხე⁴⁰ ვალდებულებებთან დაკავშირებით.

სამოქმედო გეგმის მეორე ვალდებულების მიზანია გააძლიეროს მოქალაქეების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების და საჯარო პოლიტიკის განსაზღვრის საწყის ეტაპზე. სამოქმედო გეგმის დასახელებული ვალდებულება უნდა განახორციელონ სახელმწიფო ორგანიზაციებმა, ასევე, მუნიციპალიტეტის ორგანოებმა. ვალდებულების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ვებ-გვერდზე სადისკუსიო პლატფორმის შექმნა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მოქალაქეებს შეადგინონ, მხარი დაუჭირონ და გააგზავნონ ინიციატივები სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოებში.

სამოქმედო გეგმის მეოთხე ვალდებულება მოიცავს ბიუჯეტის და ფინანსური მენეჯმენტის გამჭვირვალობის საკითხებს. სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ მოქალაქეებს არ აქვთ წვდომა დეტალურ ფინანსურ ინფორმაციაზე. მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ გამოქვეყნებული ფინანსური დოკუმენტაცია არ ასახავს ტრანზაქციის პარტნიორობებს, კერძოდ, თუ რომელ კომპანიასთან, ფონდთან და/ან არასამთავრობო ორგანიზაციასთან განხორციელდა ტრანზაქცია. ასევე, არ ხორციელდება ბიუჯეტიდან არასამთავრობო სექტორზე გაცემული ფინანსური დახმარების მონიტორინგი.

დასახელებული ვალდებულების განმახორციელებელი უწყებები არიან, ასევე, მუნიციპალიტეტის ორგანოებიც. ვალდებულების მიზანია ხელი შეუწყოს საჯარო რესურსების დანახარჯების გამჭვირვალობას და მუნიციპალიტეტის ორგანოებთან დადებული ტრანზაქციების მონაწილეებზე ეფექტური ზედამხედველობის განხორციელებით მოახდინოს კორუფციის პრევენცია.

1.9. ირლანდია

³⁹ Estonia's Action Plan in Participating in the Open Government Partnership, 2014-2016, http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Estonia%202014-2016_EN.pdf, გვ. 10-11.

⁴⁰ იქვე, გვ. 13-14.



ირლანდიის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ტერიტორიული ერთეულების ორგანოების საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას. სამოქმედო გეგმის თანახმად, თითოეულ მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბდება „საჯარო მონაწილეობის ქსელი“ (Public Participation Network (PPN)), რაც შესაძლებლობას მისცემს მოქალაქეებს მიიღონ აქტიური მონაწილეობა მუნიციპალიტეტების ორგანოების გადაწყვეტილების მიღებისა და ამ ორგანოების საქმიანობის მონიტორინგის პროცესში.⁴¹

სამოქმედო გეგმა, ასევე, ითვალისწინებს რეგულაციებისა და გზამკვლევის შემუშავებას, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი თემების აქტიურ ჩართულობას მუნიციპალიტეტების ორგანოების საქმიანობაში.

ირლანდიის სამოქმედო გეგმით აღიარებულია, რომ მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩეულ პირებს აქვთ კანონმდებლობით განსაზღვრული პირდაპირი პასუხისმგებლობა, რომ ხელი შეუწყონ მოქალაქეების მონაწილეობას ტერიტორიული ერთეულების საბიუჯეტო პროცესებში. ხოლო აღნიშნულ პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობის დახვეწის მიზნით, სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს კვლევის ჩატარებას.

1.10. იტალია

იტალიის ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში შემუშავებული მეორე სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ვებ-პლატფორმის შექმნას იმისათვის, რომ მოქალაქეებმა შეძლონ თვალი მიადევნონ ბიუჯეტის ხარჯვას, ასევე, მონაწილეობა მიიღონ ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრაში (Follow the Money).⁴² აღნიშნული საკითხს ითვალისწინებს იტალიის სამოქმედო გეგმის მეხუთე ვალდებულება.

სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ ფისკალური გამჭვირვალობა არის მთავრობასა და მოქალაქეებს შორის, ხოლო საერთაშორისო დონეზე მთავრობებს შორის ურთიერთობის ქვაკუთხედი. კანონით დადგენილია ბიუჯეტის დაგეგმვისა და ხარჯვის შესახებ ინფორმაციის ღიაობა, ასეთი ინფორმაციის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე უფრო სრულყოფილად და დეტალურად გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

უნდა აღინიშნოს, ასევე, ის ფაქტი, რომ მეხუთე ვალდებულების სამიზნეები არიან ზოგადად მმართველი ორგანოები, მათ შორის ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულების აღმასრულებელი ორგანოები.

⁴¹ Open Government Partnership Ireland National Action Plan 2014-2016, <http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/OGP%20National%20Action%20Plan.pdf>, გვ. 19-20.

⁴² Open Government Partnership National Action Plan 2014-2016, <http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Second%20OGP%20National%20Action%20Plan.pdf>, გვ. 11.



დასახელებული ვალდებულების განხორციელებისათვის, იტალიის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების განხორციელებას და დამუშავებად ფორმატში ინფორმაციის გამოქვეყნებას. მეხუთე ვალდებულება ითვალისწინებს ვებ-პლატფორმის შექმნას, რომლის მეშვეობითაც უნდა განხორციელდეს საჯარო დაწესებულებების ბიუჯეტთან, დანახარჯებთან და ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის მონიტორინგი. პლატფორმაზე უნდა შეიქმნას მონაცემთა ღია ბაზა, სადაც გრაფიკულად იქნება გამოხატული თუ როგორ და რა მიმართულებით იხარჯება ბიუჯეტი. პლატფორმა, ასევე, შესაძლებლობას მისცემს მოქალაქეებს დაუსვან შეკითხვა მმართველი ორგანოების წარმომადგენლებს, მათ შორის ტერიტორიული ერთეულების ორგანოებს, ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილთან დაკავშირებით.

1.11. კოლუმბია

კოლუმბიის პირველი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ღია მმართველობის პრინციპების დანერგვის ხელშეწყობას. ვალდებულებაში აღნიშნულია, რომ კოლუმბია განავითარებს პილოტურ პროგრამებს მუნიციპალიტეტებში, მხარს დაუჭერს მუნიციპალიტეტების საქმიანობის გაძლიერებას და გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და მოქალაქეთა ჩართულობის ზრდას.⁴³

ღია მმართველობის პარტნიორობაში ჩართულობის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა კოლუმბიის მეორე სამოქმედო გეგმა, სადაც რამდენიმე ასეთი ვალდებულებაა გათვალისწინებული. აღსანიშნავია, რომ საკუთრივ სამოქმედო გეგმის სახელწოდებაა „ღია მმართველობის პარტნიორობა - სოციალური და რეგიონული ჩართულობისთვის“.⁴⁴

კოლუმბიის მეორე სამოქმედო გეგმის მეცხრე ვალდებულება მოიცავს კოლუმბიის ერთერთი რეგიონის - *ანტოქიას* - მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობის ზრდას. კერძოდ, დასახელებულ ვალდებულებაში აღნიშნულია, რომ ანტოქიას სამხარეო ერთეულს უკავია რეგიონებს შორის პირველი ადგილი გამჭვირვალობის თვალსაზრისით მაგრამ მნიშვნელოვანია უშუალოდ აღნიშნული რეგიონის მუნიციპალიტეტების უფრო მეტი ჩართულობა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ზრდის თვალსაზრისით. ვალდებულების მიზანია

⁴³ Action Plan of the Government of Colombia,

http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/legacy_files/country_action_plans/action%20plan%20Colombia%20OGP_1.pdf, გვ. 9.

⁴⁴ Open Government for Social and Regional Inclusion,

<http://www.opengovpartnership.org/country/colombia/action-plan>.



ანტოქიაში არსებულ 125 მუნიციპალიტეტში ჩაატაროს საჯარო შეხვედრები ანგარიშვალდებულების, რეგიონის გუბერნატორსა და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებს შორის დადებული საჯარო შეთანხმებისა და რეგიონის განვითარების გეგმასთან დაკავშირებით, რაშიც სამოქმედო გეგმის თანახმად, მონაწილეობა უნდა მიიღოს 12000-მა მოქალაქემ.⁴⁵

კოლუმბიის მეორე სამოქმედო გეგმის მეათე ვალდებულება ითვალისწინებს მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას მუნიციპალიტეტების საქმიანობაში. კერძოდ, აღნიშნული ვალდებულება ოთხი ნაწილისგან შედგება: პირველი ეტაპი გულისხმობს მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით „ინიციატივების მხარდამჭერი ბანკის“ შექმნას; მეორე ეტაპი მოიცავს მოქალაქეებთან დიალოგის წარმართვას ანგარიშვალდებულების გაძლიერების თვალსაზრისით; მესამე ეტაპზე იქმნება და ინერგება „მოქალაქეთა მონაწილეობის გზამკვლევი“, ხოლო მეოთხე ეტაპის მიზანია უზრუნველყოს აბორიგენი მოსახლეობის ჩართვა მუნიციპალიტეტების საქმიანობაში.⁴⁶

„ინიციატივების მხარდამჭერი ბანკის“ მიზანია ფინანსურად ხელი შეუწყოს სოციალური პასუხისმგებლობის, მოქალაქეთა ზედამხედველობის და მუნიციპალიტეტში მოღვაწე ორგანიზაციების გაძლიერებას და მიმართულია ქალების, ახალგაზრდების, შშმ პირების ჩართულობის გაზრდისკენ.

კოლუმბიის მეორე სამოქმედო გეგმის მეთორმეტე ვალდებულება მოიცავს უკეთესი ტერიტორიული მენეჯმენტისთვის გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულებას გაზრდას. ვალდებულების მიზანია შემდგომი დეცენტრალიზაციის გაზრდა ცენტრალური და რეგიონული მმართველების მენეჯერული და ტექნიკური უნარების დახვეწისა და ინსტიტუციონალიზაციის გაძლიერების თვალსაზრისით. ვალდებულების ფარგლებში 50-მდე ტერიტორიული ერთეული მიიღებს ტექნიკურ მხარდაჭერას. 60-მდე ტერიტორიულ ერთეულში მოხდება „ანგარიშვალდებულების გზამკვლევის“ გავრცელება აღნიშნული ტერიტორიული ერთეულების სამოქმედო გეგმების მეშვეობით. ვალდებულების მიზანია ასევე ხელი შეუწყოს ტერიტორიული ერთეულების ფინანსური, საბიუჯეტო და სახელშეკრულებო ურთიერთობების ღიაობას და გამჭვირვალობის დაცვას.⁴⁷

⁴⁵ Open Government for Social and Regional Inclusion, <http://www.opengovpartnership.org/country/colombia/action-plan>, გვ. 9-10.

⁴⁶ იქვე, გვ. 10-11.

⁴⁷ Open Government for Social and Regional Inclusion, <http://www.opengovpartnership.org/country/colombia/action-plan>, გვ. 12.



1.12. მაკედონია

მაკედონიის ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში შემუშავებული ორივე სამოქმედო გეგმა მოიცავს ტერიტორიული ერთეულების ორგანოების მიერ განსახორციელებელ ვალდებულებებს. განსაკუთრებით ეს ეხება ინფორმაციის ღიაობის საკითხს.

1.12.1. მაკედონიის პირველი სამოქმედო გეგმა

მაკედონიის პირველი სამოქმედო გეგმა ავალდებულებს მუნიციპალიტეტის ორგანოებს ინფორმაციის ღიაობას. აღნიშნული გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის მერვე ვალდებულებაში. კერძოდ, მერვე ვალდებულების პირველი ნაწილი დაკავშირებულია მუნიციპალიტეტებში არსებული ინფორმაციის ღიაობასთან და მითითებულია, რომ ინფორმაციის ღიაობამ ხელი უნდა შეუწყოს კონკურენციას მუნიციპალიტეტებს შორის (მაგალითად, უკეთესი სკოლების, გარემოს, უსაფრთხოების პირობების და სხვა საკითხების გათვალისწინებით). ვალდებულების მეორე ნაწილი ითვალისწინებს „საჯარო ინფორმაციაზე შეუზღუდავი წვდომის შესახებ“ კანონის უკეთესი დანერგვის მიზნით, მუნიციპალიტეტების თანამშრომელთათვის ტრენინგების ჩატარებას. ვალდებულების მესამე ნაწილი ითვალისწინებს ადგილობრივ დონეზე ინფორმაციის ღიაობის ხელშეწყობი ინტეგრირებული სისტემების დანერგვას და მათ პილოტირებას 10 მუნიციპალიტეტში.⁴⁸

1.12.2. მაკედონიის მეორე სამოქმედო გეგმა

მაკედონიის მეორე სამოქმედო გეგმა კვლავ ითვალისწინებს ადგილობრივ დონეზე ინფორმაციის ღიაობის ვალდებულებას, თუმცა განსაზღვრავს მის შესასრულებლად განსხვავებულ აქტივობებს. კერძოდ, მეექვსე ვალდებულების მიზანია ხელი შეუწყოს მოქალაქეებთან პროაქტიული კომუნიკაციის ახალი ფორმების დამკვიდრებას; შექმნას სერვისების მიწოდების ელექტრონული პლატფორმა; დანერგოს მუნიციპალიტეტის ორგანოებსა და მოქალაქეებს შორის ინსტიტუციონალური თანამშრომლობის მექანიზმი; ელექტრონული მომხმარებლების რაოდენობის გაზრდა, მუნიციპალიტეტის ორგანოების სერვისების ნაწილის ელექტრონულად გარდაქმნა და სერვისების მიწოდების ეფექტიანობის და ეფექტურობის გაუმჯობესება; მოქალაქეებთან კონსულტაციის ახალი მეთოდების იმპლემენტაცია.

⁴⁸ Action Plan on Open Government Partnership, http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/legacy_files/country_action_plans/Macedonia_OGP_AP_1.pdf, გვ. 16-17.



მაკედონიის მეორე სამოქმედო გეგმა დასახული ვალდებულების განსახორციელებლად სხვადასხვა ინდიკატორებს აყალიბებს, მათ შორის: ტრენინგ პროგრამის (მასალების და სილაბუსის) შემუშავება მუნიციპალიტეტებისათვის და ტრენინგის ჩატარება ტრენერთათვის; პლატფორმის გამოყენების გზამკვლევის შექმნა; მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობის შესახებ კანონის სამუშაო ვერსიის (სადაც მითითებული იქნება ინფორმაცია, რომელიც უნდა იყოს ღია და აღწერილი იქნება მათი გამოქვეყნების მეთოდები, მაგალითად, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოების დღის წესრიგი, მუნიციპალიტეტების მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების სია და პროექტები, რის ფარგლებშიც მათი გრანტის მიიღეს და სხვა საკითხები) მომზადება; მუნიციპალიტეტის ორგანოების სერვისების ანალიზი და ამ სერვისების მიწოდება მობილური ტელეფონების მეშვეობით.⁴⁹

1.13. ნორვეგია

ნორვეგიის სამოქმედო გეგმა ზოგადად საუბრობს ნორვეგიის მუნიციპალურ სექტორზე. კერძოდ, ხაზს უსვამს, რომ მუნიციპალიტეტის ორგანოები არიან დემოკრატიული პროცესების და სერვისების მიწოდების მნიშვნელოვანი რგოლი. მუნიციპალური სექტორი განკარგავს ნორვეგიის ფინანსური რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს. მუნიციპალური სექტორის შემოსავალმა 2012 წელს შეადგინა კონტინენტური ნორვეგიის მთლიანი შიდა პროდუქტის 18%. ასევე, ნორვეგიაში ყოველი მეხუთე დასაქმებული მუშაობს მუნიციპალურ სექტორში. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ ადგილობრივი ბიუჯეტის განკარგვის საკითხი. ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულების საქმიანობის ერთერთ ძირითად სფეროს შეადგენს სკოლამდელი და დაწყებითი განათლება და ჯანდაცვის საკითხები.⁵⁰

მუნიციპალურ სექტორთან მიმართებაში ნორვეგიის სამოქმედო გეგმა აწესებს გამჭვირვალობის მაღალ სტანდარტებს და ხაზს უსვამს, რომ გამჭვირვალობა არის ხარისხის გაუმჯობესების და დახვეწის საუკეთესო საშუალება. სხვა საკითხებთან ერთად, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია სკოლებთან დაკავშირებული ინფორმაციის (სტრატეგია, სამოქმედო გეგმა და შედეგები) ღიაობა და ხელმისაწვდომობა.

⁴⁹ Action Plan For Open Government Partnership 2014-2016, <http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Macedonia%20OGP%20ACTION%20PLAN%202014-2016.pdf>, გვ. 10-13.

⁵⁰ Norway's Second Action Plan on Open Government Partnership (OGP), <http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/OGP-NORWAY-ACTION%20PLAN%202020-final.pdf>, გვ. 46-47.



1.14. საფრანგეთი

საფრანგეთის ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმა, რომელიც გათვლილია 2015-2017 წლებზე სხვადასხვა ვალდებულებების განხორციელების პროცესში ითვალისწინებს ადგილობრივი და რეგიონული ორგანოების ჩართულობას. მუნიციპალიტეტის ორგანოების მონაწილეობას განსაკუთრებით ითვალისწინებს საფრანგეთის სამოქმედო გეგმის პირველი, მეათე და მეთხუთმეტე ვალდებულებები.⁵¹

საფრანგეთის სამოქმედო გეგმის პირველი ვალდებულება ითვალისწინებს მოქალაქეებისათვის ფინანსური ინფორმაციის უკეთ მიწოდების შესაძლებლობას.⁵²

აღნიშნული ვალდებულება სამ ნაწილად არის დაყოფილი. პირველი ნაწილი დაკავშირებულია რეგიონული და მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ მონაცემების ღიაობასთან. კერძოდ, ვალდებულების ამ ნაწილში აღნიშნულია, რომ მოქალაქეთა ლეგიტიმური მოლოდინის დაკმაყოფილების მიზნით და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საჯარო რესურსების დიდი ნაწილი იხარჯება რეგიონული და მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ, აუცილებელია ფინანსური გამჭვირვალობის გაუმჯობესება.

სამოქმედო გეგმაში მითითებულია, რომ მრავალმა ადგილობრივმა და რეგიონულმა ორგანომ დაიწყო ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება იმისათვის, რომ გაზარდოს ანგარიშვალდებულება ფინანსური მენეჯმენტისა და ბიუჯეტის გამჭვირვალობის თვალსაზრისით. სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ მთავრობის მიზანია ხელი შეუწყოს აღნიშნული მიმართულების გაძლიერებას, რაც განმტკიცებული იქნება მომავალ კანონში რესპუბლიკის ტერიტორიული მოწყობის შესახებ (NOTRe). კანონით გათვალისწინებული იქნება მონაცემების ღიაობის პოლიტიკა, განსაკუთრებით ფინანსურ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით. ამჟამად, ყველა ფინანსური დოკუმენტაცია მიმაგრებულია მუნიციპალიტეტის ორგანოების ბიუჯეტებს და ანგარიშებს, რისი გაცემაც ხდება ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე მოთხოვნის შემთხვევაში. მაგრამ ვალდებულების მიზანია უზრუნველყოს ფინანსური დოკუმენტაციის პროაქტიული გამოქვეყნება, რაც გარკვეულ მუნიციპალიტეტებში უკვე დაწყებულია (მაგალითად, ქალაქ რენში, ქალაქ მონპელიეში, პარიზში, ჰაუტს-დე-სეინეს რეგიონში და სხვა ტერიტორიულ ერთეულებში).

ვალდებულების დასახელებული ნაწილი მიზნად ისახავს შესაძლებლობა მისცეს მოქალაქეებს ჰქონდეთ მეტი წვდომა რეგიონული და მუნიციპალიტეტის ორგანოების ფინანსურ საკითხებზე, კერძოდ, მითითებულია, რომ უნდა გამოქვეყნდეს ინფორმაცია ცენტრალური ორგანოების მიერ ტერიტორიული ორგანოებისათვის გაწეული სახელმწიფო დახმარების შესახებ (Dotation globale de fonctionnement). ვებ-გვერდზე *data.gouv.fr* უნდა

⁵¹ For a Transparent and Collaborative Government: France National Action Plan, 2015-2017, http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/2015%2007%2009_Plan%20gouvernement%20ouvert%20EN%20Version%20Finale_0.pdf.

⁵² იქვე, გვ. 10-13.



გამოქვეყნდეს 2013 წლიდან მოყოლებული ტერიტორიული ორგანოების ყველა ფინანსური ანგარიში და ინფორმაცია იმ პირებზე, რომლებიც ექვემდებარებიან სპეციალურ დაბეგვრას. ვალდებულება ითვალისწინებს ფინანსური დოკუმენტაციის რეგულარულად და პროაქტიულად გამოქვეყნებას.

ვალდებულების მეორე ნაწილის მიზანია მუნიციპალიტეტის ორგანოების გადაწყვეტილებების, ანგარიშების და ადმინისტრაციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გამოქვეყნება. წვდომა აღნიშნულ დოკუმენტაციაზე უნდა იყოს ღია და ყოველგვარი გადასახადისგან თავისუფალი. ასევე, ვალდებულების მიზანია უზრუნველყოს სხდომის ჩატარებიდან ერთი კვირის განმავლობაში და მინიმუმ ექვსი წლის ვადით მუნიციპალიტეტის ორგანოს შეხვედრის სხდომის ოქმის ელექტრონული ფორმით განთავსება.

ვალდებულების მესამე ნაწილი ითვალისწინებს ინფორმაციის გამოქვეყნებას მშენებლობის ნებართვებთან დაკავშირებით, ოღონდ იმ ფორმით, რომ დაცული იყოს პერსონალური მონაცემები. ამ დროისთვის ინფორმაცია ღიაა ყველა დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე. სამოქმედო გეგმა, ასევე, აწესებს მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნების ვალდებულებასაც. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს მშენებლობის ნებართვების ღიაობასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შექმნასაც.

საფრანგეთის სამოქმედო გეგმის მეათე ვალდებულება ითვალისწინებს მოქალაქეების მონაწილეობის გაზრდას საჯარო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების სფეროში.⁵³

ვალდებულების ერთ-ერთი ნაწილია პრობლემების იდენტიფიცირების საკითხში მოქალაქეების მონაწილეობა (Fix My Neighborhood). სამოქმედო გეგმა გამოყოფს ისეთი პლატფორმის არსებობის მნიშვნელობას, რომელიც მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს განაცხადონ პრობლემების არსებობის შესახებ. აღნიშნული პლატფორმები შესაძლებლობას აძლევს ხელისუფლებას აღრიცხონ პრობლემები და იზრუნონ მათ წარმატებით გადაჭრაზე. ასეთ პლატფორმებზე ხდება მოქალაქეების მხრიდან ისეთი პრობლემური საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდება როგორცაა გზებთან დაკავშირებული ინციდენტები და პრობლემები, ინფორმაციის მიწოდება მედიკამენტების უარყოფითი ზეგავლენის შესახებ (www.medicaments.gouv.fr); სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ სამომავლოდ, ასევე, შესაძლებელი გახდება მოქალაქეების მხრიდან ჯანმრთელობასთან მიმართებაში უარყოფითი ზეგავლენის გამოწვევისა და გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით პრობლემების დაფიქსირება.


სამოქმედო გეგმაში მოქალაქეების მხრიდან პრობლემების იდენტიფიცირების სხვადასხვა მაგალითებია მოყვანილი, როგორც საფრანგეთის (Beecitiz, Jaidemaville, Dansmarue (ქალაქ

⁵³ For a Transparent and Collaborative Government: France National Action Plan, 2015-2017, http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/2015%2007%2009_Plan%20gouvernement%20ouvert%20EN%20Version%20Finale_0.pdf, გვ. 27-28.



პარიზის აპლიკაცია), Fixmaville, Tellmycity, Openmap, proximbuzz, GRC-Mobile) ასევე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებიდან (FixMyStreet, PublicStuff, ConnectedBits, ClickSeeFix). ერთ-ერთ ასეთ მაგალითად განხილულია ურბანულ საკითხებზე პრობლემების დაფიქსირება, კერძოდ, ისეთ თემებზე როგორიცაა წარწერები კედლებზე (ე. წ. გრაფიტი), მიტოვებული ნივთები, გაუმართავი ქუჩის განათებები და სხვა საკითხები. მოქალაქე შესაბამის ორგანოს მობილური აპლიკაციის მეშვეობით უგზავნის გადაღებულ ფოტოს და ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციას. პრობლემის დაფიქსირების შემდეგ, მუნიციპალიტეტის ორგანოებმა უნდა იზრუნონ მის გადაწყვეტაზე.

APPLIS - Depuis le 26 juin, la Mairie de Paris propose aux possesseurs de smartphones "d'améliorer le cadre de vie de leur quartier" via l'application "DansMaRue". Comment ? En dénonçant, photos à l'appui, les diverses anomalies et incivilités constatées sur l'espace public.



54

⁵⁴ <http://www.metronews.fr/paris/paris-dansmarue-une-appli-pour-denoncer-le-voisin/mmfB!WmR506GOBabzM/>.





Beecitiz c'est...



Une carte participative pour les requêtes des citoyens






Une interface de gestion des requêtes simple et intuitive



Une plate-forme d'organisation et de communication inter-services

55

Les derniers signalements



56

⁵⁵ <http://www.beecitiz.com/>.

⁵⁶ <http://jaidemaville.com/>.



სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ 2015 წლის ივნისში უნდა გამოცხადებულიყო კონკურსი პროექტისთვის "Fix My Neighborhood" განაცხადების მისაღებად, ხოლო 2015 წლის ბოლოსთვის ვალდებულება განსაზღვრავდა 100 მუნიციპალიტეტის ჩართულობას.

ვალდებულების მიზანია უზრუნველყოს მუნიციპალიტეტები ციფრული პლატფორმით, რომლის მიზანი იქნება პრობლემების იდენტიფიცირებისა და განხორციელების მონიტორინგი.

საფრანგეთის სამოქმედო გეგმის მეთხუთმეტე ვალდებულების მიზანია ხელი შეუწყოს მონაცემთა ღიაობას და გაცვლას. კერძოდ, ვალდებულებაში აღნიშნულია, რომ საფრანგეთის მთავრობა ტერიტორიული ერთეულების ორგანოებთან ერთად მხარს უჭერს საჯარო ინფორმაციის ღიაობას. სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ ინფორმაციის ღიაობა არის დემოკრატიის მამოძრავებელი ძალა და ამავედროულად ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების, ხელისუფლების მოდერნიზაციის, საუკეთესო საშუალება.⁵⁷

სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ მთავრობა უკვე აქვეყნებს სხვადასხვა სახის მონაცემებს დემოკრატიულ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით. თუმცა სამოქმედო გეგმაში მითითებულია, რომ მონაცემების ღიაობა უნდა გავრცელდეს ადგილობრივ და რეგიონულ ტერიტორიულ ერთეულებთან დაკავშირებითაც. მაგალითის სახით მოყვანილია 30 მუნიციპალიტეტის მიერ „საფრანგეთის ღია მონაცემთა ასოციაციის შექმნის“⁵⁸ ფაქტი, რომელიც შექმნეს მონაცემების ღიაობის მომხრეებმა და ნებაყოფლობით აიღეს ვალდებულებები ინფორმაციის გამოქვეყნებასა და ასეთი პოლიტიკის წახალისებასთან დაკავშირებით.

დასახელებული ვალდებულების მიზანია უზრუნველყოს ისეთი მონაცემების ღიაობა, რომელსაც აქვს გამორჩეული ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა; მხარი დაუჭიროს მონაცემების ღიაობას ტერიტორიულ ერთეულებში, კერძოდ, გაითვალისწინოს მონაცემების გამოქვეყნების ვალდებულება იმ მუნიციპალიტეტებისათვის, რომელთა მინიმალური მაცხოვრებლების რაოდენობა არის 3500-ზე მეტი. ასევე, ვალდებულება ითვალისწინებს ღიაობის ზოგადი წესების დამკვიდრებას (ინფორმაციის დახურვა ჩაითლება გამონაკლის შემთხვევად), რომელიც დაადგენს ღია მონაცემების შეუზღუდავ და უსასყიდლო გამოყენებას.

1.15. სერბეთი

სერბეთის სამოქმედო გეგმა მე-12 ვალდებულებად ითვალისწინებს მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერებას ტერიტორიული ერთეულების ორგანოების საქმიანობაში.

⁵⁷ For a Transparent and Collaborative Government: France National Action Plan, 2015-2017, http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/2015%2007%2009_Plan%20gouvernement%20ouvert%20EN%20Version%20Finale_0.pdf, გვ. 39-41.

⁵⁸ <http://www.opendatafrance.net/>.



ვალდებულება ორ ძირითად საკითხს მოიცავს, პირველი ეს არის მთავრობის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის დანართი პროტოკოლის ხელმოწერა და მეორე, მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოებასთან.⁵⁹

ვალდებულების პირველ ნაწილთან დაკავშირებით, სერბეთის მთავრობამ უნდა მოამზადოს კანონის პროექტი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის დანართი პროტოკოლის ხელმოსაწერად.

ვალდებულების მეორე ნაწილი გულისხმობს ტერიტორიული ერთეულების ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერებას სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობისა და ადგილობრივი ბიუჯეტიდან არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების გამჭვირვალობის თვალსაზრისით. სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ ვალდებულების ამ ნაწილის შესასრულებლად საჭიროა ტრენინგის ჩატარება ტერიტორიული ერთეულების ორგანოების თანამშრომლებისათვის.

1.16. სომხეთი

თვითმმართველი ერთეულების მონაწილეობის თვალსაზრისით საინტერესოა სომხეთის ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში შემუშავებული ორივე სამოქმედო გეგმა.

1.16.1. სომხეთის პირველი სამოქმედო გეგმა

სომხეთს პირველ სამოქმედო გეგმაში ასახული აქვს მთავრობის ის ღონისძიებები, რომელიც განხორციელდა სომხეთის ღია მმართველობის პარტნიორობაში ჩართვამდე. კერძოდ, სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტებში დაინერგა შესრულებაზე დაფუძნებული ანაზღაურების სისტემა და სხვა წამახალისებელი და სამოტივაციო მექანიზმები. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით, სავალდებულო გახდა წელიწადში მინიმუმ ერთხელ მაინც სამოქმედო გეგმების და ანგარიშების გამოქვეყნება. 2010 წლისთვის სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების 50%-ს ჰქონდა საქმიანობის ანგარიშები შემუშავებული, ხოლო 2011 წლისთვის აღნიშნული ანგარიშების 80% იყო საჯაროდ ხელმისაწვდომი. ასევე, სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ სომხეთის მთავრობა აპირებს ადგილობრივი

⁵⁹ Action Plan for Implementation of OGP Initiative in the Republic of Serbia for 2014 and 2015, გვ. 18-19, <http://www.opengovpartnership.org/country/serbia/action-plan>.



თვითმმართველობის შესახებ კანონში ცვლილების შეტანას, რათა წაახალისოს მოქალაქეთა ჩართულობა, განსაკუთრებით ბიუჯეტის შემუშავების თვალსაზრისით.⁶⁰

1.16.2. სომხეთის მეორე სამოქმედო გეგმა

სომხეთის OGP-ის მეორე სამოქმედო გეგმაში მე-6 ვალდებულებად აღნიშნულია მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით 10 მუნიციპალიტეტში კვლევის ჩატარება.⁶¹ მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS) მეშვეობით მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოქალაქეები იღებენ ერთ ან რამდენიმე შეკითხვას თანდართული რამდენიმე სავარაუდო პასუხით, რომელიც დაკავშირებულია მუნიციპალიტეტის პრობლემებთან. შეტყობინების მიღებიდან 24 საათის განმავლობაში მოქალაქეები პასუხობენ კითხვას მათთვის მისაღები პასუხის მითითებით. სომხეთის სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ დასახელებული ვალდებულების მიზანია ხელი შეუწყოს კომუნიკაციის გაძლიერებას საზოგადოებასა და მუნიციპალიტეტებს შორის და უზრუნველყოს გამჭვირვალობა ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სომხეთის მეორე სამოქმედო გეგმა ასევე ითვალისწინებს დიდი მუნიციპალიტეტების (რომლის მაცხოვრებლების რაოდენობა შეადგენს 20000-ს ან მეტს) ორგანოების გამჭვირვალობას (მე-11 ვალდებულება).⁶² ვალდებულებაში აღნიშნულია სომხეთის დიდი მუნიციპალიტეტების მხოლოდ ნაწილს აქვს ვებგვერდი, რომელთა განახლება არ არის სისტემური ხასიათის და თვითმმართველი ერთეულების ორგანოების გადაწყვეტილებები არ ქვეყნდება ყველა ვებ-გვერდზე. საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება საჯარო განხილვებთან, მოსმენებთან და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს შეხვედრის ჩატარებასთან დაკავშირებით ხორციელდება მოქმედი რეგულაციების დარღვევით. წარმომადგენლობითი ორგანოების შეხვედრები პირდაპირ ეთერში გადაიცემა მხოლოდ ვანაძორში და გიუმრში. მუნიციპალიტეტების ნაწილში შესაბამისი ინფრასტრუქტურის უქონლობის გამო, შეუძლებელია სესიაზე დასწრების მსურველი ყველა პირის განთავსება.

ვალდებულება მიზნად ისახავს უზრუნველყოს ვებ-გვერდების შექმნა და განახლება, მუნიციპალიტეტების ორგანოების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების გამოქვეყნება, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობით ორგანოს სხდომის ჩატარების შესახებ

⁶⁰ Action Plan by the Republic of Armenia,

http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/legacy_files/country_action_plans/OGPAP_Armenia_English.pdf, გვ. 2.

⁶¹ Second Action Plan of the Republic of Armenia (2014-2016),

<http://www.opengovpartnership.org/country/armenia/action-plan>, გვ. 12-13.

⁶² იქვე, გვ. 20-21.



ინფორმაციის გავრცელება, ასევე, სხდომის ელექტრონულად გადაცემა სომხეთის ისეთ მუნიციპალიტეტებში, სადაც მოსახლეობა შეადგენს და/ან აღემატება 20000-ს.⁶³

1.17. უნგრეთი

ღია მმართველობის პარტნიორობის პრინციპების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანერგვის თვალსაზრისით საინტერესოა უნგრეთის OGP-ის მეორე სამოქმედო გეგმა. კერძოდ, სამოქმედო გეგმის პირველივე ვალდებულება ადგენს მუნიციპალიტეტების ინფორმაციის ღიაობის გაუმჯობესების აუცილებლობას.⁶⁴

სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ ვალდებულების განხორციელებისათვის საჯარო სერვისების მიმწოდებელმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ საზოგადოების ინფორმირება უტყუარი ინფორმაციით; განსაკუთრებით ბიუჯეტის, ქონების მართვის, საჯარო სახსრების გამოყენების, საბაზრო ურთიერთობის მონაწილეებისათვის სპეციალური და განსაკუთრებული უფლების მინიჭების საკითხებთან დაკავშირებით.

მეორე სამოქმედო გეგმაში მითითებულია, რომ უნგრეთის პირველ სამოქმედო გეგმაში მუნიციპალიტეტებს ჰქონდათ ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულება მაგრამ შეფასების დამოუკიდებელმა მექანიზმმა (IRM) ეს ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელებულად ჩათვალა. შესაბამისად, აუცილებელი გახდა, რომ ვალდებულება დარჩენილიყო და უფრო დეტალურად მომხდარიყო მისი გათვალისწინება მეორე სამოქმედო გეგმაში. ასევე, აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი შეფასების მექანიზმის ანგარიშის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტებს შეიძლება ჰქონდეთ დახურული სესიები, ეს არ შეიძლება გავრცელდეს ისეთ სესიებზე, სადაც ქონებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები განიხილება.

ვალდებულებაში ხაზგასმულია, რომ საჯაროობასთან დაკავშირებული საკითხები უნდა ჩამოყალიბდეს და გავრცელდეს გზამკვლევის სახით.

გზამკვლევის მიზანი იქნება ინფორმაციის ღიაობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების ინტერპრეტაცია და მუნიციპალიტეტის ორგანოებისათვის რეკომენდაციის მიცემა ინფორმაციის გამოქვეყნების პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებით (მათ შორის შეიძუშავოს ინფორმაციის გამოქვეყნების ნიმუში).

⁶³ Second Action Plan of the Republic of Armenia (2014-2016), <http://www.opengovpartnership.org/country/armenia/action-plan>, გვ. 20-21.

⁶⁴ Action Plan on Hungary's Commitments for the Years 2015-2017 made under the Open Government Partnership, გვ. 5-6, <http://www.opengovpartnership.org/country/hungary/action-plan>.



ვალდებულებაში მითითებულია, რომ გზამკვლევის პრაქტიკაში გამოყენებისათვის აუცილებელია მუნიციპალიტეტების ორგანოების წარმომადგენელთათვის სამუშაო შეხვედრების ჩატარება, რაც ნიშნავს სულ 7 შეხვედრის ჩატარებას თითოეულ რეგიონში მინიმუმ ერთი შეხვედრის სახით. გზამკვლევის გამოყენების შესწავლასთან ერთად, სამუშაო შეხვედრის მიზანი იქნება მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა შორის პრაქტიკის გაზიარება.

გზამკვლევის შექმნა და პრაქტიკაში ფართოდ გავრცელება აამაღლებს მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების ცნობიერების დონეს ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, გაზრდის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების ღიაობას და შეამცირებს ინფორმაციის გამოქვეყნების ხარჯებს.

უნგრეთის მეორე სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოების სხდომის ოქმების და გადაწყვეტილებების მოძებნის გამარტივების ვალდებულებას.⁶⁵ კერძოდ, სამოქმედო გეგმის მეშვიდე ვალდებულებაში აღნიშნულია, რომ ძებნის გამარტივება მითითებული იყო ასევე უნგრეთის პირველ სამოქმედო გეგმაში მაგრამ დასახელებული ვალდებულება შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესრულებულად, შესაბამისად აუცილებელი გახდა მისი მეორე სამოქმედო გეგმაშიც ასახვა. პირველი სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგად მიღწეული პროგრესის შეფასებისას გამოჩნდა, რომ უნგრეთის მუნიციპალიტეტების უმრავლესობა არ აქვეყნებდა ინფორმაციას საჯაროობის სტანდარტის შესაბამისად, ხოლო გამოქვეყნებული ინფორმაცია იყო ცუდი ხარისხის და არ იძებნებოდა განთავსების ფორმატის გამო. შესაბამისად, მეშვიდე ვალდებულება ხაზს უსვამს არ მხოლოდ მეთოდოლოგიის შემუშავების აუცილებლობას, არამედ გამოქვეყნებული ინფორმაციის ელექტრონული ფორმატის მნიშვნელობას.

უნგრეთის სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია ინფორმაციის განთავსების ისეთ ფორმატზე როგორიცაა *Akomo Ntoso*. კერძოდ, აღნიშნული სტანდარტის თანახმად, ინფორმაციის განთავსება ხდება XML ფორმატში. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს აღნიშნული ფორმატში ინფორმაციის გამოსაქვეყნებლად პილოტური პროექტის დაწყებას, სადაც მუნიციპალიტეტების ორგანოები ნებაყოფლობით მიიღებენ მონაწილეობას.

1.18. ურუგვაი

ურუგვაი, ღია მმართველობის პარტნიორობის სხვა ქვეყნების მსგავსად ითვალისწინებს სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში მუნიციპალიტეტების ორგანოების ჩართულობას.

⁶⁵ Action Plan on Hungary's Commitments for the Years 2015-2017 made under the Open Government Partnership, გვ. 9-10, <http://www.opengovpartnership.org/country/hungary/action-plan>.



ურუგვაის მეორე სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია რამდენიმე ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია რივერას, მალდონადოს და მონტევიდეოს მუნიციპალიტეტებთან.⁶⁶

ურუგვაის მეორე სამოქმედო გეგმის მერვე ვალდებულება⁶⁷ ხაზს უსვამს მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ მოქალაქეებისათვის სერვისების მიწოდების გაუმჯობესებას. ვალდებულება ითვალისწინებს მუნიციპალური მნიშვნელობის ახალი პროექტების დანერგვის აუცილებლობას სერვისის მიწოდების სფეროს დახვეწის მიზნით.

კერძოდ, ვალდებულების პირველი ნაწილი დაკავშირებულია რივერას მუნიციპალიტეტთან და გულისხმობს თვითმომსახურების და მომხმარებლის უკუკავშირის მიღების მეთოდების დანერგვას. ვალდებულების პირველი ნაწილის განხორციელებისათვის აუცილებელია კონსულტირებისა და თვითმომსახურების სერვისების ინტეგრირება რივერას მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.

ვალდებულების მეორე ნაწილი დაკავშირებულია მალდონადოს მუნიციპალიტეტთან და გულისხმობს ინტეგრირებული სისტემის შექმნას, სადაც შესაძლებელია იქნება მალდონადოს მაცხოვრებლების მიერ მუნიციპალური საჩივრების და/ან განცხადებების შეტანა ვებ-გვერდის ან სპეციალური ტერმინალის მეშვეობით. ვალდებულება ასევე მიზნად ისახავს, რომ შეიქმნას მობილური აპლიკაცია, რისი მეშვეობითაც ექნებათ მალდონადოს მაცხოვრებლებს საჩივრის შეტანის შესაძლებლობა.

ურუგვაის სამოქმედო გეგმის მესამე ვალდებულების მიზანია მხარი დაუჭიროს საჯარო ინფორმაციაზე წვდომას.⁶⁸ აღნიშნული ვალდებულების მეოთხე ნაწილი მიმართულია მალდონადოს მუნიციპალიტეტში ინფორმაციის ღიაობის კულტურის დანერგვისა და საჯაროობისკენ. კერძოდ, ეს ეხება მუნიციპალიტეტის მმართველი ორგანოების მიერ ჩატარებული სხდომის ოქმებისა და მუნიციპალიტეტში ხელნაწერი დოკუმენტების ციფრულ ფორმატში ასახვას და გამოქვეყნებას.

ურუგვაის სამოქმედო გეგმაში, ასევე, გათვალისწინებულია სოციალური სფეროს სხვადასხვა მიმართულების ღიაობის მხარდაჭერა. აღნიშნული ასახულია ურუგვაის სამოქმედო გეგმის მეორე ვალდებულებაში.⁶⁹ მუნიციპალიტეტის ორგანოების თვალსაზრისით საინტერესოა ის ფაქტი, რომ მეორე ვალდებულების მესამე ნაწილი, რომელიც ურბანული განვითარების გეგმასთან არის დაკავშირებული, ითვალისწინებს მონტევიდეოს ერთ-ერთ მუნიციპალიტეტის მონაწილეობასაც.

⁶⁶ Open Government Partnership 2nd Action Plan Uruguay 2014-2016, <http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Action%20Plan%20Uruguay%202014-2016%20%28EN%29.pdf>.

⁶⁷ იქვე, გვ. 47-48.

⁶⁸ იქვე, გვ. 28-31.

⁶⁹ იქვე, გვ. 25-27.



1.19. ფილიპინები

წინამდებარე კვლევისთვის გამორჩეულად საინტერესო შეიძლება იყოს ფილიპინების მესამე სამოქმედო გეგმა, რომელიც 12 ვალდებულებას ითვალისწინებს, საიდანაც 4 ვალდებულების განხორციელება ეკისრებათ მუნიციპალიტეტების ორგანოებს.⁷⁰

კერძოდ, სამოქმედო გეგმის მეორე ვალდებულება აწესებს ღიაობას მუნიციპალიტეტების ფინანსურ დოკუმენტაციებსა და ტრანზაქციებთან დაკავშირებით. ვალდებულების თანახმად, უნდა განხორციელდეს ღიაობასთან მიმართებით მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის მონიტორინგი, რაც იქნება მოქალაქეების და სხვა დაინტერესებული პირების ინფორმირებულობის განმსაზღვრელი მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ ბიუჯეტის განკარგვასთან დაკავშირებით. ვალდებულების მიზანია ტერიტორიული ერთეულების ორგანოების საქმიანობაში დაამკვიდროს გამჭვირვალობის კულტურა ძირითად ფინანსურ დოკუმენტაციაზე საჯარო ხელმისაწვდომობის გაზრდის თვალსაზრისით. ვალდებულებაში აღნიშნულია, რომ ფინანსურ დოკუმენტაციაზე წვდომა არის მოქალაქეების მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ეფექტური ჩართულობის წინაპირობა.⁷¹

სამოქმედო გეგმის მეექვსე ვალდებულება მიზნად ისახავს ბიუჯეტის ფორმირების წესის შეცვლას, კერძოდ, მოქალაქეების ჩართულობის გაზრდას ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში (Bottom-up Budgeting). ვალდებულების თანახმად, ორგანიზაციების და მოქალაქეების მონაწილეობა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში გაზრდის მმართველი ორგანოების ანგარიშვალდებულებას. ამავდროულად დასახელებული ვალდებულების მიზანია განავითაროს მუნიციპალიტეტების შესაძლებლობები ერთი მხრივ მოხალისეებისათვის, ხოლო მეორე მხრივ მუნიციპალიტეტების ორგანოების თანამშრომლებისათვის ტრენინგების ჩატარებით. ტრენინგები შესაძლებლობას მისცემს მოქალაქეებს უფრო მეტად იყვნენ

⁷⁰ Shared Commitments For Better Outcomes, the Philippine Open Government Partnership National Action Plan 2015-2017, <http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/PHILIPPINE%20OPEN%20GOVERNMENT%20PARTNERSHIP%20NATIONAL%20ACTION%20PLAN%202015-2017.pdf>.

⁷¹ იქვე, გვ. 14-15.



ჩართული მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების განსაზღვრის და ბიუჯეტის დაგეგმვის საკითხებში.⁷²

ფილიპინების მესამე სამოქმედო გეგმის მერვე ვალდებულება დაკავშირებულია ძირითადად მუნიციპალიტეტების ბინათმომსახურების სფეროსთან, კერძოდ, მუნიციპალიტეტის ორგანოების გამჭვირვალობა საბინაო საკითხებთან, სოციალურ დაცვასთან და უსაფრთხოებასთან მიმართებაში. დასახელებული ვალდებულების მიზანია ხელი შეუწყოს კარგი მმართველობის დამკვიდრებას ტერიტორიული ერთეულების მმართველი ორგანოების საქმიანობაში, იმისათვის, რომ მმართველმა ორგანოებმა სათანადოდ გამოიყენონ საჯარო სახსრები, გაწიონ სამაგალითო მომსახურება ადგილობრივ თემებში და ხელი შეუწყონ ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობის და ჩართულობის დანერგვას.⁷³

სამოქმედო გეგმის მეათე ვალდებულების მიზანია გააუმჯობესოს ტერიტორიული ერთეულების კონკურენტუნარიანობა. დასახელებული ვალდებულება მოიცავს “შეფასების მექანიზმის” (diagnostic tool) შემუშავებას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტერიტორიული ერთეულების მმართველი ორგანოების კონკურენტუნარიანობის შეფასებისა და თანამშრომლობის შესაძლო სფეროების გამოვლენის მიზნით. აღნიშნული ინსტრუმენტის მეშვეობით შესაძლებელი იქნება განისაზღვროს ტერიტორიული ერთეულების ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობის ინდექსი ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით.⁷⁴

1.20. ფინეთი

ფინეთმა 2012 წელს გამოთქვა ღია მმართველობის პარტნიორობის წევრობის სურვილი და პირველი სამოქმედო გეგმის განხორციელება 2013 წელს დაიწყო. OGP-ის წევრად გახდომიდან დღემდე ფინეთმა ორი სამოქმედო გეგმა შეიმუშავა. ორივე სამოქმედო გეგმაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ისეთი ვალდებულებები, რომელიც დაკავშირებულია მუნიციპალიტეტებთან, კერძოდ, მუნიციპალიტეტების საქმიანობაში მოქალაქეების ჩართულობის გაზრდასთან, ადგილობრივი ბიუჯეტის გამჭვირვალობასა და სერვისების მიწოდების გაუმჯობესებასთან. ორივე სამოქმედო გეგმაში ხაზგასმულია, რომ სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად ჩართულობები იყვნენ, ასევე, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებიც.

⁷² იქვე, გვ. 23-27.

⁷³ Shared Commitments For Better Outcomes, the Philippine Open Government Partnership National Action Plan 2015-2017, <http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/PHILIPPINE%20OPEN%20GOVERNMENT%20PARTNERSHIP%20NATIONAL%20ACTION%20PLAN%202015-2017.pdf>, გვ. 30-31.

⁷⁴ იქვე, გვ. 33-34.



1.20.1. ფინეთის პირველი სამოქმედო გეგმა

ფინეთის პირველ სამოქმედო გეგმაში აღიარებულია ადგილობრივი მაცხოვრებლების უფლება, რომ ფინეთის მუნიციპალიტეტებში დანერგილი იყოს გამჭვირვალობა და კარგი მმართველობა. კანონმდებლობით განმტკიცებულია მოქალაქეების უფლება მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. კანონმდებლობა, ასევე, მიუთითებს მუნიციპალიტეტებს, რომ მოძებნონ მოქალაქეებთან კომუნიკაციისა და ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა საშუალებები. სამოქმედო გეგმაში ასევე აღნიშნულია, რომ ელექტრონული საშუალებების გამოყენება მუნიციპალიტეტის ორგანოებს ღიაობის ახალ კრიტერიუმებს უწესებს.⁷⁵ ფინეთის პირველი სამოქმედო გეგმა რამდენიმე თავად არის დაყოფილი. მუნიციპალიტეტებთან დაკავშირებული ვალდებულებები ძირითადად წარმოდგენილია პირველ თავში, რომელიც პროცედურების ღიაობას ეხება.

სამოქმედო გეგმის პირველ ვალდებულებაში გათვალისწინებულია, რომ სამოქმედო გეგმის განხორციელების პირველ წელს, გადაწყვეტილების მომზადების დროს აქტიურად იქნება გამოყენებული იქნება სხვადასხვა სახის კონსულტაციები ყველა ასაკის მოქალაქეებთან. სახელმწიფო ინსტიტუტები და მუნიციპალიტეტის ორგანოები მხარს დაუჭერენ ელექტრონული მონაწილეობის პორტალის (E-Participation Environment/Portal) სხვადასხვა ფუნქციების დანერგვას. სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ორგანიზაციებს და მუნიციპალიტეტებს უფლება აქვთ ნებაყოფლობით დაისახონ ვალდებულებები, რაც ხელს შეუწყობს ღიაობას.⁷⁶

სამოქმედო გეგმის მეოთხე ვალდებულება დაკავშირებულია მონაწილეობითი ბიუჯეტირების საკითხებთან. ვალდებულების ფარგლებში შესწავლილი იქნება აპლიკაციის შექმნის შესაძლებლობა, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს ექნებათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ცენტრალური და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირებაში. სამოქმედო გეგმაში მითითებულია, რომ გამოვლენილი უნდა იყვნენ მუნიციპალიტეტები, რომლებიც დაინტერესებულები იქნებიან მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტების პილოტირებით. სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის სრულყოფილი რეფორმის ფარგლებში განხილული იქნება მონაწილეობითი ბიუჯეტირების შესაძლებლობები.⁷⁷

⁷⁵ Finland's Action Plan on Open Government,

http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/legacy_files/country_action_plans/20130314%20OGP%20Action%20Plan%20Finland.pdf, გვ. 1.

⁷⁶ იქვე, გვ. 4-5.

⁷⁷ იქვე, გვ. 5.



1.20.2. ფინეთის მეორე სამოქმედო გეგმა

ფინეთის მეორე სამოქმედო გეგმა სხვადასხვა საკითხებისგან შემდგარ ოთხ ვალდებულებას ითვალისწინებს.

სამოქმედო გეგმის პირველი ვალდებულების⁷⁸ მიზანია, რომ სახელმწიფო ორგანოებმა და მუნიციპალიტეტის ორგანოებმა გასაგებ ენაზე მიაწოდონ მოქალაქეებს ინფორმაცია გადაწყვეტილების მიღების მომზადების პროცესთან დაკავშირებით. სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ ხელისუფლების ორგანოების სტრუქტურა რთულია, ხოლო გადაწყვეტილებების მიღებისა და მომზადების პროცესის დროს გამოიყენება სპეციფიკური ტერმინოლოგია, რომელიც შეიძლება რთული იყოს მოქალაქეებისათვის აღსაქმელად.

სამოქმედო გეგმის პირველი ვალდებულებაში მითითებულია, რომ სახელმწიფო სწორ ნაბიჯებს დგამს ამ მიმართულებით, თუმცა მაინც რჩება გამოწვევები მთავრობის სტრუქტურასა და მოდელთან და ინფორმაციის გასაგებ ენაზე მიწოდებასთან დაკავშირებით. ასევე, მოქალაქეებთან შეხვედრის დროს მწვავედ დადგა საკითხი ინფორმაციის გასაგებ ენაზე მიწოდებასა და ორგანოების სტრუქტურის შესახებ.

ვალდებულების მიზანია გაამარტივოს სერვისების მიწოდება და გახადოს უფრო მეტად ორიენტირებული მომხმარებლებზე. სამოქმედო გეგმაში მითითებულია, რომ ინფორმაცია ორგანოების სტრუქტურისა და სერვისების მიწოდების პროცესის შესახებ უნდა იყოს ფორმირებული ისე, რომ მოქალაქეებმა იცოდნენ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რომელ უფლებამოსილ პირს უნდა დაუკავშირდნენ. ასევე, გასაგებ ენაზე უნდა იყოს ფორმულირებული გადაწყვეტილების მომზადების შესახებ ინფორმაცია. ორგანოებმა უნდა მიიღონ უკუკავშირი მომხმარებლისგან და გამოიყენონ საქმიანობის გაუმჯობესების მიზნებისთვის.


სამოქმედო გეგმის მეორე ვალდებულება⁷⁹ უკავშირდება მონაცემთა ბაზების ღიაობას. ვალდებულებაში აღნიშნულია, რომ ბევრი მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზა არის ღია, თუმცა ღიაობა და გამჭვირვალობა კვლავ რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად. ფინანსთა სამინისტროს მონიტორინგის ქვეშ ღია მონაცემთა პროგრამამ განავითარა ღია მონაცემთა და ჯანდაცვის სერვისების ერთიანი პლატფორმა avoindata.fi.

⁷⁸ იქვე, გვ. 7-9.

⁷⁹ Finland, Open Government Action Plan, 2015-2017,

http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/OGP_Action_Plan_Finland-2015_2017.pdf, გვ. 9-11.





80

ვალდებულება ასევე, ხაზს უსვამს ელექტრონული ტექნოლოგიების და სერვისების მოქალაქეებისათვის ელექტრონულად მიწოდების მნიშვნელობას. კერძოდ, ვალდებულებაში მითითებულია, რომ ელექტრონული ტექნოლოგიები უფრო ხელმისაწვდომს ხდის სერვისებს მოქალაქეებისათვის.

ვალდებულების მესამე ნაწილი ხაზს უსვამს სამინისტროებს, მუნიციპალიტეტის ორგანოებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის ეფექტური კოორდინაციის მნიშვნელობას. ასევე, ვალდებულებაში მითითებულია, რომ არის კოორდინაციის ნაკლებობა მუნიციპალიტეტებს შორის. სამოქმედო გეგმაში ეფექტური კოორდინაციის არარსებობა განხილულია, როგორც მოხალისეობრივი საქმიანობის ხელისშემშლელი გარემოება.

ვალდებულების მიზანია, რომ სახელმწიფომ ხელი შეუწყოს მონაცემთა ღიაობას, წახალისოს მოხალისეობა და მუნიციპალიტეტებში სერვისების მიწოდება ელექტრონული ტექნოლოგიების მეშვეობით, ასევე, ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით გაამარტივოს სერვისების მიწოდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

სამოქმედო გეგმის მეოთხე ვალდებულების მიზანია გააძლიეროს ბავშვების, ახალგაზრდების და ხანში შესულების მონაწილეობა გადაწყვეტილების მომზადების პროცესსა და სერვისების მიწოდების სფეროში.⁸¹

სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ სისტემატურად ხდებოდა ბავშვების და ახალგაზრდების მუნიციპალიტეტებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში მონაწილეობის ხელშეწყობა. გეგმა განსაზღვრავს მოთხოვნას ყველა მუნიციპალიტეტის მიმართ, რომ მათ დააფუძნონ ახალგაზრდული საბჭოები, ასევე, საბჭოები შეზღუდული

⁸⁰ <https://www.avoindata.fi/fi>.

⁸¹ Finland, Open Government Action Plan, 2015-2017, http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/OGP_Action_Plan_Finland-2015_2017.pdf, გვ. 14-15.



შესაძლებლობების მქონე პირების მონაწილეობით. ხანდაზმულთა საბჭოების შექმნა 2013 წლიდან არის სავალდებულო. სამოქმედო გეგმაში მითითებულია, რომ ამ დროისთვის მუნიციპალიტეტების 80%-ს ჰყავთ ახალგაზრდული საბჭოები. დაახლოებით 150 მუნიციპალიტეტს ჰყავთ საბჭოები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მონაწილეობით. 2017 წლის 1 ივნისიდან ახალგაზრდული და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მონაწილეობით შექმნილი საბჭოები სავალდებულო იქნება ყველა მუნიციპალიტეტისათვის.

ასევე, სამოქმედო გეგმაში მითითებულია, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთი მოქალაქეების ჩართულობას, რომლებმაც არ იციან სახელმწიფო ენა.

1.21. ხორვატია

მუნიციპალიტეტების ჩართულობის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ხორვატიის მაგალითი, რომელსაც როგორც პირველ, ასევე, მეორე სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული ჰქონდა ადგილობრივი თვითმმართველ ერთეულებში OGP-ის პრინციპების დანერგვის საკითხები.

1.21.1. ხორვატიის პირველი სამოქმედო გეგმა

ხორვატიის პირველი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების თანამშრომლობის საფუძველზე დამყარებული პროგრამების მხარდაჭერას, რომლის მიზანი იყო ბიუჯეტის გამჭვირვალობის და მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდა ადგილობრივი ბიუჯეტების დაგეგმვისა და შესრულების მონიტორინგის თვალსაზრისით. სამოქმედო გეგმაში ხაზგასმულია, რომ დასახელებული ვალდებულება უნდა განხორციელდეს არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საფუძველზე.⁸²

ხორვატიის სამოქმედო გეგმა განსაკუთრებით აქტიურად არეგულირებს ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შედგენის და შესრულების მონიტორინგის საკითხებს. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია ადგილობრივი ბიუჯეტების გამჭვირვალობის გაუმჯობესების ვალდებულება. კერძოდ, დასახელებული ვალდებულება

⁸² Action Plan for the Implementation of the Initiative Open Government Partnership in the Republic of Croatia for Period 2012-2013, http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/legacy_files/country_action_plans/Croatia-OGP-Action%20plan_0.pdf, გვ. 7-8.



გულისხმობს ტერიტორიული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტებისათვის რეკომენდაციების და ინსტრუქციების მიცემას, რომ ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნონ ძირითადი საბიუჯეტო დოკუმენტები (ბიუჯეტის პროექტი - როდესაც მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ორგანოები უზავენან წარმომადგენლობით ორგანოებს; წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ მიღებული ბიუჯეტის საბოლოო რედაქცია; ბიუჯეტის შესრულების შუალედური და საბოლოო ანგარიშები).⁸³

ხორვატიის პირველი სამოქმედო გეგმა ასევე მხარს უჭერს ღია საჯარო დისკუსიების და კონსულტაციების წარმართვას მოქალაქეებთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ბიუჯეტებში პრიორიტეტების განსაზღვრის თვალსაზრისით.

სამოქმედო გეგმა ასევე ითვალისწინებს ადგილობრივი და რეგიონული ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლობითი ორგანოების სესიების დღის წესრიგის გამოქვეყნებას მათ ოფიციალურ ვებ-გვერდებზე.⁸⁴

1.21.2. ხორვატიის მეორე სამოქმედო გეგმა

ხორვატიის მეორე სამოქმედო გეგმაში არ არის კონკრეტულად ადგილობრივი თვითმმართველობისთვის გაწერილი ვალდებულებები, თუმცა ისეთი ვალდებულებების განხილვის დროს, როგორცაა საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და ფისკალური გამჭვირვალობა, სამოქმედო გეგმა განმახორციელებელ სახელმწიფო უწყებებს შორის ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ორგანოებსაც და მათაც აკისრებს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.⁸⁵

2. ღია მმართველობის გზამკვლევი ღია მმართველობის პარტნიორობაში ადგილობრივი თვითმმართველობის მონაწილეობის შესახებ

როგორც შესავალში აღინიშნა, მუნიციპალიტეტის ორგანოების ჩართულობა არის ღია მმართველობის პარტნიორობის ახალი მიმართულება, შესაბამისად, არცთუ ისე დიდი ხანია,

⁸³ იქვე, გვ. 7-8.

⁸⁴ Action Plan for the Implementation of the Initiative Open Government Partnership in the Republic of Croatia for Period 2012-2013, http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/legacy_files/country_action_plans/Croatia-OGP-Action%20plan_0.pdf, გვ. 11-12.

⁸⁵ Action Plan for the Implementation of the Initiative Open Government Partnership in the Republic of Croatia for Period 2014-2016, <http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Action%20Plan-OGP-8-7-2014-final-ENG.pdf>.



რაც ღია მმართველობის გზამკვლევს⁸⁶ დაემატა ღია მმართველობის პარტნიორობაში ტერიტორიული ერთეულების მონაწილეობის საკითხი.⁸⁷

ღია მმართველობის გზამკვლევაში აღნიშნულია, რომ ღია მმართველობის პარტნიორობა არის სახელმწიფოების გაერთიანება. თუმცა ყველასათვის ნათელია, რომ თუ ღია მმართველობის ვალდებულებები განხორციელდება მხოლოდ ცენტრალურ დონეზე, რთული იქნება, რომ ამ ვალდებულების განხორციელების შედეგები აისახოს თითოეული მოქალაქის ცხოვრებაზე. შესაბამისად, ღია მმართველობის გზამკვლევი მიუთითებს, რომ სახელმწიფოების სამოქმედო გეგმებში უფრო და უფრო იზრდება თვითმმართველი ერთეულების მიერ ვალდებულებების აღების შემთხვევები. ასევე, ცენტრალური ორგანოები იღებენ ისეთი ვალდებულებებს, რომლებიც მუნიციპალიტეტების ორგანოებთან აქტიურ მუშაობას და მათი ჩართულობის გაზრდას ითვალისწინებენ.

ღია მმართველობის გზამკვლევაში ხაზგასმულია, რომ ამ დროისთვის არ არის გამოკვეთილი თვითმმართველობის ორგანოების როლი OGP-ის ფარგლებში. თუმცა ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში გამართული ძალიან ბევრი შეხვედრა და კონფერენცია მოიცავს და დაკავშირებულია მუნიციპალიტეტების და სხვა ტერიტორიული ერთეულების წარმატებული ღიაობის მაგალითებსაც.⁸⁸ OGP-ის წევრი ქვეყნების მუნიციპალიტეტების ასოციაციები სულ უფრო აქტიურად ერთვებიან სახელმწიფოების ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და განხორციელების პროცესში, გამოსცემენ გზამკვლევებს და ატარებენ ტრენინგებს მათი წევრებისთვის.

მაგრამ ამავდროულად ღია მმართველობის გზამკვლევი აღნიშნავს, რომ OGP-ის წევრ ქვეყნებს შორის ღიაობა არათანაბრად არის განვითარებული. არის შემთხვევები, როდესაც ქალაქის მმართველმა ორგანოებმა სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოებზე ადრე დაიწყეს ღიაობის დანერგვა. მაგალითად, 2012 წელს ქალაქმა სან პაულომ აამოქმედა [ღია მონაცემების პორტალი](#), იქამდე სანამ ამას ბრაზილიის ფედერალური მთავრობა განახორციელებდა. თუმცა არის სხვა შემთხვევები, როდესაც ცენტრალურმა ორგანოებმა აიღეს მუნიციპალიტეტებში ღიაობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობის ვალდებულებები. ამ უკანასკნელის მაგალითად ღია მმართველობის გზამკვლევს ფილიპინების სამოქმედო გეგმიდან აღებული ვალდებულებები მოჰყავს, რომელიც კვლევაში ზემოთ არის განხილული.

⁸⁶ <http://www.opengovguide.com/local-government/>.

⁸⁷ <http://www.opengovpartnership.org/blog/maya-forstater/2014/05/15/open-gov-local-gov>, M. Forstater, Open Gov Local Gov, 15May, 2014.

⁸⁸ მაგალითად, მექსიკაში, 2015 წლის 27-29 ოქტომბერს გამართული ღია მმართველობის პარტნიორობის გლობალური სამიტის სესიებიც მოიცავდა მუნიციპალიტეტების OGP-ში მონაწილეობის საკითხებსაც: ადგილობრივი თვითმმართველობის და თემების თანამშრომლობა ბიუჯეტებისა და სხვა პრიორიტეტული საკითხების თვალსაზრისით <http://sched.co/4WhJ> და ინვერსიული პირამიდა: ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში მუნიციპალური ორგანიზაციების მნიშვნელობის გაძლიერება <http://sched.co/4QXP>.



ღია მმართველობის გზამკვლევი სწრაფად მზარდ ქალაქებს ინოვაციის მამოძრავებელ ძალად განიხილავს. ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვით შესაძლებელია ტრანსპორტირების, სამედიცინო მომსახურების, საცხოვრებელი პირობების და სხვა საკითხების გაუმჯობესება.

ღია მმართველობის გზამკვლევი ასახელებს ღიაობისა და ჩართულობის თვალსაზრისით გამორჩეულ თვითმმართველ ერთეულებს, ასევე, სახელმწიფოებს, რომლებმაც სამოქმედო გეგმებში შეიტანეს მუნიციპალიტეტებთან დაკავშირებით ვალდებულებები. ამათგან ნაწილი განხილულ იქნა კვლევის პირველ თავში, ხოლო თვითმმართველი ერთეულების მიერ ღია მმართველობის დანერგვის სხვა მაგალითები, განიხილება მომდევნო თავში.

ღია მმართველობის გზამკვლევი შეიცავს ინფორმაციას სხვადასხვა ინტერნეტ-რესურსების შესახებ, რომელიც შეიძლება იყოს დამხმარე საშუალება სახელმწიფო ორგანოებისთვის, თვითმმართველი ერთეულებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის გაიგონ მეტი მუნიციპალიტეტების ორგანოების ღიაობის შესახებ და გამოიყენონ დასახელებული წყაროები, როგორც თვითმმართველი ერთეულების ღიაობის ხელშეწყობის და ახალი ვალდებულებების ფორმირების შესაძლებლობა. ერთ-ერთ ასეთ წყაროდ ღია მმართველობის გზამკვლევი ასახელებს ევროპის საბჭოს მიერ 2005 წელს მიღებულ [დოკუმენტს ადგილობრივ დონეზე ეთიკის ნორმების შესახებ](#), ასევე, <http://www.cityethics.org/>, რომელიც განიხილავს აშშ-ს მუნიციპალიტეტებში ეთიკის პროგრამებს. საინტერესო წყაროა ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის⁸⁹ მიერ გამოქვეყნებული მიმოხილვა ადგილობრივი ბიუჯეტის გამჭვირვალობის შესახებ, E-democracy.org-ის მიერ განვითარებული [ადგილობრივი თვითმმართველობა 2.0](#), [მოქალაქის ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის შესახებ ქარტია](#), <http://opengovernment.org/> და სხვა წყაროები.

ღია მმართველობის გზამკვლევაში ასევე აღნიშნულია წარმატებული ინიციატივების შესახებ, რომელთა მიზანია გააძლიეროს პარტნიორობა ქალაქებს შორის, გაცვალოს საუკეთესო პრაქტიკა და ხელი შეუწყოს მონაწილეობითი დემოკრატიის გაძლიერებას. კერძოდ, ასეთი ინიციატივებია <http://www.tedcity2.org/>, <http://opencities.net/>, <http://futurecities.catapult.org.uk/>, <http://newurbanmechanics.org/> და <http://www.mercociudades.org/>. ამ უკანასკნელი ქსელის ფარგლებში სამხრეთ ამერიკის ქვეყნების სხვადასხვა ქალაქების მერებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის მიზანია ერთობლივი მოქმედება მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად.

⁸⁹ <http://www.internationalbudget.org/>.



3. მუნიციპალიტეტების ორგანოების ღიაობის წარმატებული მაგალითები

კვლევის პირველ თავში გამოჩნდა, რომ OGP-ს წევრ სახელმწიფოების მნიშვნელოვან ნაწილს ადებული აქვთ ვალდებულებები მუნიციპალიტეტების ორგანოების ჩართულობისა და ტერიტორიული ერთეულების მმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდის თვალსაზრისით.

იმისათვის, რომ გაძლიერდეს მუნიციპალიტეტების მონაწილეობა ღია მმართველობის პარტნიორობაში, ღია მმართველობის პარტნიორობამ გამოაცხადა საპილოტე კონკურსი (Subnational Government Pilot Program). OGP მოუწოდებს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიულ ერთეულებს, რომელთა მაცხოვრებლების რაოდენობა არ არის 250000-ზე ნაკლები, გააკეთონ განაცხადი აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.⁹⁰ კონკურსის მიზანია გაძლიერდეს ტერიტორიული ერთეულების ორგანოების მონაწილეობა ღია მმართველობის პარტნიორობაში პირველ ეტაპზე კონკრეტული ვალდებულებების აღების გზით, ხოლო მომდევნო ეტაპზე OGP მიზნად ისახავს ტერიტორიული ერთეულების ორგანოების მიერ ადებული ვალდებულებები აქციოს წევრი სახელმწიფოების ეროვნული სამოქმედო გეგმის ნაწილად. მართალია კვლევის პირველ თავში განხილული ვალდებულებები არის წევრი სახელმწიფოების სამოქმედო გეგმების ნაწილი, თუმცა გამოცხადებული კონკურსის მიზანია თვითმმართველი ორგანოების ღიაობისკენ მიმართული აქტივობების ინტეგრირება საერთო სამოქმედო გეგმაში.

გამოცხადებულ კონკურსში მოყვანილი არის თვითმმართველი ორგანოების წარმატებული ფუნქციონირების მაგალითები, კერძოდ, ესენია: მეხიკო, ნიუ ორლეანი და ამსტერდამი.⁹¹ გამოცხადებულ კონკურსში მოყვანილი მაგალითების გარდა, OGP-ის ოფიციალური ვებ-გვერდზე არის სხვა თვითმმართველი ორგანოების წარმატებული საქმიანობის მაგალითებიც, რასაც ქვემოთ შევხებით.

3.1. ამსტერდამი

მონაწილეობითი ბიუჯეტირების თვალსაზრისით საინტერესო მაგალითად ითვლება ქალაქი ამსტერდამი, სადაც 2012-2013 წლებიდან დაიწყო პილოტური პროექტის განხორციელება,

⁹⁰ გამოცხადებული კონკურსის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგი ელექტრონული ბმულის მეშვეობით: <http://www.opengovpartnership.org/how-it-works/subnational-government-pilot-program#3>.

⁹¹ ჩამონათვალში წარმატებულ მაგალითად ასევე მითითებულია ფილიპინებიც, თუმცა ფილიპინების სამოქმედო გეგმების ვალდებულებები განხილულია კვლევის პირველ თავში OGP-ის წევრი სახელმწიფოების სამოქმედო გეგმებზე საუბრის დროს.



კერძოდ, ამსტერდამის ერთ-ერთი რაიონის თემში. თემის სახელწოდებაა IndischeBuurt, სადაც 2003 წლისთვის ცხოვრობდა დაახლოებით 23000 მოსახლე.⁹²

პროექტმა აჩვენა, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტების მაქსიმალური დანაწილება თემების და მიკრო/რაიონების მიხედვით ზრდის მოქალაქეთა ჩართულობას. პროექტის ფარგლებში, IndischeBuurt-ის იმ მაცხოვრებლებმა, რომელთა სურდათ მონაწილეობის მიღება ბიუჯეტის განაწილებისა და მონიტორინგის საკითხებში, გაიარეს ტრენინგ-კურსი.

ტრენინგის შემდეგ, საპილოტე ჯგუფებმა დაიწყეს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის (perspective paper and proposed budget) კომენტირება. ასევე, მათ წარადგინეს ბიუჯეტისთვის პრიორიტეტების განსაზღვრის საკუთარი გეგმა IndischeBuurt-ის მიკრო-რაიონისთვის. მაგალითად, ბიუჯეტის შესწავლის დროს მოქალაქეებმა აღმოაჩინეს, რომ ახალგაზრდულ და განათლების პროგრამებზე იხარჯებოდა უფრო ნაკლები, ვიდრე ეს იყო გათვალისწინებული ოფიციალურ ანგარიშებში და მუნიციპალიტეტის გეგმებში. მოქალაქეებმა იმუშავეს მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოებთან ერთად, იმისათვის, რომ თემისთვის შემუშავებულიყო ახალი პროგრამები განათლებისა და ახალგაზრდობის მიმართულებით.⁹³

3.2. ახალი ორლეანი

ქალაქ ახალ ორლეანს დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა პრობლემები მიტოვებულ და ცუდ მდგომარეობაში მყოფ კერძო საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებით. პრობლემები განსაკუთრებით გამწვავდა 2005 წლიდან, როდესაც ქალაქს თავს დაატყდა ქარიშხალი კატრინა. მიტოვებული შენობები (დაახლოებით 35000), დამტვრეული ფანჯრები და ჩამოშლილი სახურავები მნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას ახდენდა ქალაქის მდგომარეობაზე და მოქალაქეების განწყობაზე; გაზრდილი იყო კრიმინალი და სიღარიბე.⁹⁴

იმისათვის, რომ გადაეჭრათ არსებული პრობლემები, ახალი ორლეანის მუნიციპალიტეტის ორგანოები დაუკავშირდნენ არასამთავრობო ორგანიზაციას Code for America.⁹⁵ დასახელებულმა ორგანიზაციამ შეიმუშავა ვებ-გვერდი (BlightStatus), რომელიც შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეებს მიუთითონ მიტოვებული და დანგრეული ქონების შესახებ და ასევე მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურებისგან მიიღონ ინფორმაცია ვებ-გვერდზე დარეგისტრირებულ ქონებასთან მიმართებაში განსახორციელებელი და მიმდინარე ღონისძიებების შესახებ. დასახელებული ვებ-გვერდი იქცა მოქალაქეებისა და მუნიციპალიტეტების სამსახურების ინფორმირებულობის ზრდის ეფექტურ პლატფორმად,

⁹² <http://www.opengovpartnership.org/blog/marjan-delzenne-and-zeynep-gunduz/2013/06/13/budget-monitoring-amsterdam-neighborhood>.


⁹³ <http://www.opengovpartnership.org/how-it-works/subnational-government-pilot-program#3>.

⁹⁴ იქვე.

⁹⁵ <http://www.codeforamerica.org/>.



რამაც, ასევე, შესაძლებლობა მისცა ქალაქს, რომ დაეზოგა დიდი ოდენობით თანხა, რაც აუცილებელი იქნებოდა მიტოვებული და დანგრეული შენობა-ნაგებობების აღსაწერად.⁹⁶



97

3.3. მეხიკო⁹⁸

2012 წელს მეხიკოს მერმა დაარსა ინოვაციების ლაბორატორია (Mexico City Government Innovation Lab), რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ქალაქის მმართველობაში ინოვაციების ინსტიტუციონალურად დანერგვას. ინოვაციების ლაბორატორია იმართება როგორც კვლევითი ორგანიზაცია.

ინოვაციების ლაბორატორიის ხელმძღვანელობით შემუშავდა ღია მმართველობის კანონი, რომელიც ხელს უწყობს ქალაქის მაცხოვრებლებს მონაწილეობა მიიღონ საჯარო პოლიტიკის

⁹⁶ <http://www.opengovpartnership.org/how-it-works/subnational-government-pilot-program#3>.

⁹⁷ <http://blightstatus.nola.gov/>.

⁹⁸ <http://www.opengovpartnership.org/how-it-works/subnational-government-pilot-program#3>.



განსაზღვრაში და მოითხოვს ქალაქის ორგანოებისგან მხედველობაში მიიღონ მოქალაქეების რეკომენდაციები.

ქალაქის ორგანოებისა და სტუდენტების თანამშრომლობის შედეგად ("Yo Propongo" initiative), შესაძლებელი გახდა მეხიკოს მაცხოვრებლების პრობლემების შესახებ ინფორმაციის შეგროვება. კერძოდ, სტუდენტებმა ჩაატარეს ინტერვიუები ქალაქის მაცხოვრებლებთან და შეგროვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ქალაქის მმართველმა ორგანოებმა შეადგინეს ქალაქის ოთხწლიანი საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი, რამაც შესაძლებლობა მისცა მეხიკოს, რომ ყოფილიყო უფრო მეტად მოქალაქეებზე ორიენტირებული.

მეხიკოს ინოვაციების ლაბორატორიამ უზრუნველყო, ასევე, ვებ-პორტალის (Codigo DF (Code for Mexico City)) განვითარება, რომელიც ხელს უწყობს ქალაქისთვის პრობლემური საკითხების გადაჭრაში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებას. მაგალითად, ელექტრონული ტექნოლოგიები გამოიყენება ტრანსპორტირების საკითხების რეგულირების დროს.

3.4. ნიუ იორკი

ქალაქ ნიუ იორკში 2011 წლიდან დაიწყო მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვა. თავდაპირველად პროექტში ჩართული იყო ნიუ იორკის მხოლოდ ოთხი რაიონი, თუმცა 2014-2015 წლებისთვის ამ მაჩვენებელმა 24 რაიონს მიაღწია. 2014-2015 წლებში ნიუ იორკის ბიუჯეტისთვის პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრაში მონაწილეობა მიიღო ქალაქის 51000-ზე მეტმა მაცხოვრებელმა. 2015-2016 წლებში მონაწილეობით ბიუჯეტირებაში ჩართული იქნება ქალაქის 27 რაიონი.⁹⁹ აღნიშნული რაიონების მაცხოვრებლები განსაზღვრავენ ნიუ იორკის ბიუჯეტიდან დაახლოებით 30 მილიონი აშშ დოლარის სხვადასხვა სფეროების მიხედვით განაწილების საკითხს.¹⁰⁰

⁹⁹ სულ ქალაქ ნიუ იორკში 51 რაიონია <http://council.nyc.gov/html/members/members.shtml>.

¹⁰⁰ <http://pbny.org/content/speaker-melissa-mark-viverito-and-new-york-city-council-launch-2015-2016-participatory-budge>.





ყოველ წელს ნიუ იორკის მონაწილეობით ბიუჯეტირებაში ჩართული რაიონების მოსახლეები წყვეტენ მათი რაიონის ბიუჯეტის დისკრეციული ნაწილის (რომელიც დაახლოებით 1 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს თითოეული რაიონის მიხედვით) დახარჯვის საკითხს.¹⁰² მაცხოვრებლები ამუშავენ და კენჭს უყრიან ადგილობრივ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან (მაგალითად, სკოლებთან, პარკებთან, ბიბლიოთეკებთან და საერთო საცხოვრებლებთან) დაკავშირებულ იდეებს და წინადადებებს. კენჭისყრის შემდეგ უმრავლესობით მხარდაჭერილი ინიციატივები იგზავნება ნიუ იორკის წარმომადგენლობით ორგანოში.¹⁰³

3.5. პორტო ალეგრე¹⁰⁴

ქალაქი პორტო ალეგრე მდებარეობს ბრაზილიაში. ითვლება, რომ პორტო ალეგრე არის მსოფლიოში პირველი ქალაქი, სადაც დამკვიდრდა მონაწილეობითი ბიუჯეტირება. კერძოდ, 1989 წლიდან ქალაქის კეთილმოწყობისთვის თანხების დახარჯვა შესაძლებელია მხოლოდ ქალაქის მაცხოვრებლების რეკომენდაციებისა და ქალაქის საბჭოს თანხმობის შემდეგ. აღიარებულია, რომ მონაწილეობითმა ბიუჯეტირებამ მკვეთრად შეცვალა ქალაქ პორტო ალეგრეს მაცხოვრებლების მდგომარეობა. 1998 წლისთვის საცხოვრებელი პირობებით (წყალი და საკანალიზაციო სისტემა) უზრუნველყოფილია ქალაქის საცხოვრებელი სახლების 98%, მაშინ როდესაც 1988 წელს საცხოვრებელი სახლების მხოლოდ 75%-ს ჰქონდა აღნიშნული მაჩვენებელი. 1985 წელს ქალაქის ბიუჯეტის 13%-ს შეადგენდა განათლებისა და ჯანდაცვისთვის გამოყოფილი სახსრები, ხოლო 1996 წლისთვის განათლებისა და ჯანდაცვის ხარჯებმა ქალაქის ბიუჯეტის 40% შეადგინა. პროექტის დაწყებიდან, ბიუჯეტისთვის პრიორიტეტების განსაზღვრაში ყოველწლიურად მონაწილე მაცხოვრებლების რაოდენობა, გაიზარდა 1999 წლისთვის 40000 მოსახლემდე (მაგალითისთვის, 1990 წელს მონაწილეობით

¹⁰¹ <http://www.participatorybudgeting.org/what-we-do/where-we-work/nyc/>.

¹⁰² <http://pbnyc.org/content/speaker-melissa-mark-viverito-and-new-york-city-council-launch-2015-2016-participatory-budge>.

¹⁰³ <http://www.participatorybudgeting.org/what-we-do/where-we-work/nyc/>.

¹⁰⁴ <http://siteresources.worldbank.org/INTEMPPOWERMENT/Resources/14657/Partic-Budg-Brazil-web.pdf>.



ბიუჯეტირებაში ჩართული იყო ქალაქის 1000-ზე ნაკლები მაცხოვრებელი, 1998 წელს ამ მაჩვენებელმა გადააჭარბა ყოველწლიურად 16000 მოსახლეს).¹⁰⁵ 1999 წლისთვის პორტო ალეგრეს ბიუჯეტის 21% დგებოდა მონაწილეობითი ბიუჯეტირების საფუძველზე.¹⁰⁶

ბრაზილიის დღემდე განსაკუთრებული პრობლემად რჩება სიღარიბე და ცუდი საცხოვრებელი პირობები. ამავდროულად ძალიან დიდი სხვაობა ქალაქის შეძლებულ ფენასა და სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ მაცხოვრებლებს შორის. შესაბამისად, მონაწილეობით ბიუჯეტირებაში, სოციალურად რთულ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების აქტიური ჩართულობით შესაძლებელი გახდა საცხოვრებელი პირობების მკვეთრი გაუმჯობესება.¹⁰⁷

მონაწილეობითი ბიუჯეტირება შედეგადად სამი პარალელური შეხვედრების ჯაჭვისგან: რაიონული შეკრებები (პორტო ალეგრეში არის სულ 16 რაიონი), ე. წ. თემატური შეკრებები და დელეგატების შეხვედრები. ეს შეხვედრები გრძელდება მთელი წლის განმავლობაში.

რაიონული შეკრებები განიხილავს ქალაქის ბიუჯეტის განაწილებას წყლის რესურსების, გზების მოპირკეთების, პარკების და სკოლების საკითხებთან დაკავშირებით. შეკრებები შეიძლება გაიმართოს ისეთ საჯარო ადგილებში როგორიცაა პროფკავშირების ცენტრები, ფიტნეს კლუბები, ეკლესიები და სხვა საჯარო სივრცეებში.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების დასაწყისად ითვლება ქალაქის მთავრობის გასული წლის ანგარიშების პრეზენტაცია. მთავრობა, ასევე, აქვეყნებს მიმდინარე წლის საინვესტიციო გეგმას, რომელიც ეყრდნობა წინა წლის შეკრებების შედეგებს. ანგარიშებისა და საინვესტიციო გეგმის გამოქვეყნების შემდეგ, იწყება დებატები, რომელიც გრძელდება 9 თვის განმავლობაში და ყოველი რაიონი წარადგენს გადასაწყვეტი საკითხების ორ ჩამონათვალს, აქედან პირველი უკავშირდება საკუთრივ რაიონში არსებული პრობლემებს (გზების მოპირკეთება, სკოლების კეთილმოწყობა და სხვა), ხოლო მეორე უკავშირდება მთლიანად ქალაქისთვის პრობლემურ საკითხებს (მაგალითად, სანაპიროს გაწმენდა).¹⁰⁸

მონაწილეობითი ბიუჯეტირების ძირითად მამოძრავებელ პრინციპებად ითვლება მოქალაქეების ჩართულობა და ინფორმაციის ღიაობა. მონაწილეობითი ბიუჯეტირება ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის და ქალაქის ორგანოების ანგარიშვალდებულების პროცესის გაძლიერებას.

ამავდროულად აღიარებულია, რომ მონაწილეობითი ბიუჯეტირების ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევად ითვლება ამ პროცესში მოსახლეობის ყველაზე უფრო ღარიბი და სოციალურად

¹⁰⁵ 2010 წლისთვის ქალაქის მაცხოვრებლების რაოდენობამ გადააჭარბა 1,5 მილიონ მოსახლეს.

¹⁰⁶ http://siteresources.worldbank.org/INTEMPowerment/Resources/14657_Part-Budg-Brazil-web.pdf, გვ. 2-3.

¹⁰⁷ იქვე, გვ. 1.

¹⁰⁸ http://siteresources.worldbank.org/INTEMPowerment/Resources/14657_Part-Budg-Brazil-web.pdf, გვ. 2.



მძიმე მდგომარეობაში მყოფი ნაწილის ჩართვა. ასევე, ითვლება, რომ მონაწილეობითმა ბიუჯეტირებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ქალაქის შორსმომავალ და უფრო მეტი სარგებლის მომტან პერსპექტივაზე. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ორგანოებმა უფრო მეტად უნდა მოახდინონ მოქალაქეების ინფორმირება მისაღები საკითხების და მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

3.6. ჩიკაგო¹⁰⁹

2012 წლის იანვრიდან ქალაქი ჩიკაგო ონლიან რეჟიმში აქვეყნებს ინფორმაციას თოვლისგან ქალაქის გაწმენდითი სამუშაოების შესახებ. მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის საფუძველზე, ორგანიზაციამ Open City,¹¹⁰ სხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშავა აპლიკაცია ClearStreets, რომლის მიზანია მოქალაქეებს მიაწოდოს ინფორმაცია იმ ქუჩების შესახებ, რომლებიც უკვე გაწმენდილია თოვლისგან. აღნიშნული პროექტი, ერთი მხრივ ასახავს მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის და ზოგადად მონაცემების ღიაობის მნიშვნელობას, ხოლო მეორე მხრივ, ხაზს უსვამს ქალაქის მართვაში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობას.

¹⁰⁹ <http://www.opengovpartnership.org/blog/maya-forstater/2014/05/15/open-gov-local-gov>.

¹¹⁰ <http://opencityapps.org/>.



Jan 22, 2015
The Chicago area is expected to get about an inch of snow.
See which streets have been plowed and when.

Did my street get plowed? (find me)


Search Reset

Plow fleet: **Hibernating**

What is this?
ClearStreets tracks Chicago's snow plows in real time by scraping data from the City of Chicago's Plow Tracker. By knowing where the plows are, we've figured out which streets have been plowed. [Read more »](#)

Did your street get skipped?
We don't have data on all the plows, so this map may be inaccurate. Also, we aren't the City of Chicago, and we don't control or influence where the plows go. If your street needs plowing, call 311.

clearstreets.org



111

4. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) რეკომენდაციები ღია მმართველობის პარტნიორობაში თვითმმართველი ერთეულების ჩართვასთან დაკავშირებით

საქართველომ 2011-2015 წლებში შეიმუშავა ორი სამოქმედო გეგმა, რომლებიც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებდნენ ღია მმართველობის პრინციპების დანერგვას და განხორციელებას ადგილობრივ თვითმმართველობებში. მაგალითად, 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა ადგილობრივ

¹¹¹ <http://clearstreets.org/>.



თვითმმართველობებში ელექტრონული მმართველობის დანერგვას,¹¹² დანაშაულის რუკის შექმნას და პროექტის „უსაფრთხო უბანი“ იმპლემენტაციას.¹¹³ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის თანახმად ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული მმართველობის დანერგვა ნაწილობრივ შესრულდა,¹¹⁴ ხოლო დანაშაულის რუკის შექმნა და პროექტის „უსაფრთხო უბანი“ იმპლემენტაცია იყო განხორციელების პროცესში.¹¹⁵

ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის მე-6 და მე-7 ვალდებულებები განსაზღვრავენ ტერიტორიულ ერთეულებში ელექტრონული მმართველობის დანერგვას, საზოგადოებრივი ცენტრების შექმნას და რეგიონების განვითარებას საჯარო ბიბლიოთეკების ტრანსფორმაციის გზით.¹¹⁶

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ორივე სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია ადგილობრივ თვითმმართველობებში საჯარო მომსახურების გაუმჯობესების და ელექტრონული მმართველობის დანერგვის ვალდებულებები, წარმოდგენილი კვლევა აჩვენებს, რომ OGP-ის წევრი ქვეყნების მიერ თვითმმართველ ერთეულებთან დაკავშირებით აღებული ძირითადი ვალდებულებები უკავშირდება მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას, ელექტრონული პლატფორმების შექმნას, ახალგაზრდების, ხანდაზმულების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მონაწილეობას თვითმმართველი ერთეულების ორგანოების საქმიანობაში და სხვა საკითხებს.

საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თვითმმართველ ერთეულებთან მიმართებაში პოლიტიკის გააქტიურება და OGP-ის ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების გაზიარება. აღნიშნული უპირველეს ყოვლისა ხელს შეუწყობს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის დებულებების პრაქტიკაში დანერგვას. ასევე, იმისათვის, რომ საქართველოს თვითმმართველი ერთეულებმა უკეთესად შეძლონ ღია მმართველობის პრინციპების იმპლემენტაცია, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტები იყვნენ ჩართული OGP-ში.

¹¹² ღია მმართველობის პარტნიორობა საქართველო სამოქმედო გეგმა 2012-2013, <http://goo.gl/fRLwgU>, გვ. 4.

¹¹³ იქვე, გვ. 9-10.

¹¹⁴ ღია მმართველობის პარტნიორობა საქართველოს 2012-2013 წლების სამოქმედო შესრულების ანგარიში, http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2FOGP%2FOGP_Self-Assessment%20Report_Georgia_GEO.pdf, გვ. 18.

¹¹⁵ იქვე, გვ. 40-45.

¹¹⁶ ღია მმართველობის პარტნიორობა საქართველო სამოქმედო გეგმა 2014-2015, <http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2FOGP%2FUSA%2FGov.%20Decree%20557%20-%20FINAL.pdf>, გვ. 66-67.



აუცილებელია, რომ თბილისმა, როგორც საქართველოს დედაქალაქმა და რეგიონის ერთ-ერთმა მთავარმა ცენტრმა, მონაწილეობა მიიღოს ღია მმართველობის პარტნიორობის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და შეურთდეს OGP-ს.

IDFI მიიჩნევს, რომ აუცილებელია თბილისის და საქართველოს სხვა თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლობითმა და აღმასრულებელმა ორგანოებმა გაიზიარონ ღიაობის, მოქალაქეთა ჩართულობისა და ელექტრონული მმართველობის დანერგვის საუკეთესო პრაქტიკა. განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ ინიციატივებს როგორიცაა:

- 1) მონაწილეობითი ბიუჯეტირება, რაც ხელს შეუწყობს ფინანსური გამჭვირვალობის, ორგანოების ანგარიშვალდებულების და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას;
- 2) ელექტრონული პლატფორმების შექმნა, რაც ერთი მხრივ შესაძლებლობას მისცემს მოქალაქეებს, რომ მოახდინონ თვითმმართველ ერთეულში არსებული პრობლემების ინდეტიფიცირება (ინფრასტრუქტურის გაუმართაობასთან, საგზაო ინციდენტებთან, გარემოსდაცვასთან, პროდუქციის ხარისხთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით) და მეორე მხრივ, იქნება თვითმმართველი ერთეულების ორგანოებისთვის ფინანსური სახსრების დაზოგვის საშუალება;
- 3) მონაცემების პროაქტიულად და ადვილად დამუშავებად ფორმატში გამოქვეყნება, განსაკუთრებით ფინანსურ დოკუმენტაციასთან მიმართებაში. ასევე, თვითმმართველი ერთეულების მიერ ისეთი დოკუმენტაციის საჯაროობა, რომელიც დაკავშირებულია ადგილობრივი ბიუჯეტით კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციების დაფინანსებასთან;
- 4) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თვითმმართველი ორგანოების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე ინფორმაციის მუდმივი განახლება, წარმომადგენლობითი ორგანოების სხდომების დღის წესრიგისა და ოქმების, ასევე, მიღებული გადაწყვეტილებების გამოქვეყნება;
- 5) ღია მმართველობის პარტნიორობის პრინციპების განხორციელებისათვის აუცილებელია თვითმმართველი ერთეულების ორგანოების თანამშრომელთა და ამ ორგანოების საქმიანობაში უფრო აქტიურად ჩართვის მსურველი მოქალაქეების ტრენინგი; გზამკვლევის შემუშავება; ასევე, ახალგაზრდების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და ხანდაზმულების თვითმმართველი ორგანოების საქმიანობაში მეტი ჩართულობის ხელშეწყობა.

IDFI იმედოვნებს, რომ აღნიშნული კვლევა და მის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები გაააქტიურებს საქართველოს თვითმმართველ ერთეულებში ღია



მმართველობის პრინციპების იმპლემენტაციას, ხელს შეუწყობს ტერიტორიული ერთეულების ფინანსურ გამჭვირვალობას და გაზრდის ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობას მმართველობით პროცესებში.

